უჩა დვალიშვილი
რეზო ჭანიშვილი

# ქართული ხალხური ცეკვა

## დამხმარე მეთოდური სახელმძღვანელო

გამომცემლობა კენტავრი
თბილისი
2017

დამხმარე სახელმძღვანელო – ქართული ხალხური ცეკვა – მოიცავს თეორიული და პრაქტიკული სწავლების სრულ კურსს.

ქართული ხალხური ცეკვები წარმოდგენილია ეთნოკულტურულ და ისტორიულ ჭრილში და მათ ურთიერთმიმართებაში. დეტალურადაა განხილული ქართული საცეკვაო ფოლკლორის კავშირი ხალხური შემოქმედების სხვა დარგებთან: სიმღერა, ზეპირსიტყვიერება, გამოყენებითი ხელოვნება (კოსტიუმი). გარჩეულია ზოგადი, საერთო და ლოკალური საშემსრულებლო ტრადიციები. წიგნში წარმოდგენილია საქართველოს თითოეული კუთხის ცეკვა მისთვის დამახასიათებელი საცეკვაო ლექსიკით, მუსიკალური მასალით, სამოსით და ა.შ.

დამხმარე მეთოდური სახელმძღვანელო განკუთვნილია საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დრამის ფაკულტეტის ქორეოგრაფიული ხელოვნების დეპარტამენტის ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფის სპეციალობის ბაკალავრებისათვის, ქორეოლოგებისათვის, მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის.

წიგნით სარგებლობა მსურველებს შეუძლიათ თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ეროვნულ ბიბლიოთეკასა და საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემის (სახელმწიფო, არასახელმწიფო, ადგილობრივ და საუწყებო) ქსელში.

რედაქტორი:
**ბაია ასიეშვილი** – საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მთავარი რედაქტორი

რეცენზენტები:
**ანანო სამსონაძე** – ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი
**ეკატერინე გელიაშვილი** – ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი

© საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, გამომცემლობა ,,კენტავრი“, 2017
© Shota Rustaveli Theatre and Film Georgian State University Publishing House ”Kentavri”, 2017

ISBN 978-9941-9485-9-6

# სარჩევი


წინათქმა ..........6
შესავალი ..........9
თემატური გეგმა ..........15
**სწავლების პირველი წელი**
**კურსის შინაარსი**
**I სემესტრი** ..........21
შესავალი ..........22
თეორია და მეთოდიკა ..........22
ქართული ხალხური ცეკვის გაკვეთილის სტრუქტურა ..........22
ძელთან ვარჯიში ..........24
ძელთან ვარჯიშის დანიშნულება ..........25
ძელთან ვარჯიშის შესრულების ძირითადი მოთხოვნები ..........26
ძელთან ვარჯიშის სასწავლო კომბინაციების შედგენის მოთხოვნები ..........26
ვარჯიში დარბაზის შუაში ..........27
საეტიუდო მუშაობა ..........28
სვლა, სირბილი ..........29
ნაბიჯის ფაზები ..........29
ნაბიჯით სვლა ..........29
სირბილის სახეობა ..........29
მოძრაობის შესწავლის მეთოდიკა ..........30
ქართული ცეკვის ძირითადი ელემენტები და ცნებები ..........30
ფეხის ძირითადი მდგომარეობა-პოზიცია ..........30
ხელის ძირითადი მდგომარეობა-პოზიცია ..........33
ხელის პოზიციები ..........33
ხელის ძირითადი მდგომარეობა ..........35
თავის ძირითადი მდგომარეობა და მოძრაობა ..........37
ხელის მტევნის მდგომარეობა ..........38
ხელის მტევნის მოძრაობა ..........38
ხელის მტევნის ბრუნვითი მოძრაობა ..........38
ხელის მოძრაობა მხარის სახსარში ..........38
ხელის მოძრაობა იდაყვის სახსარში ..........39
ხელის მოძრაობა მხარის, იდაყვისა და სხივ-მაჯის სახსარში ..........39
ხელის წრიული (ბრუნვითი) მოძრაობა ..........39
ზეტანის ძირითადი მოძრაობა ..........40
მოცეკვავეთა განლაგება და ხელის
მდგომარეობა წყვილთა ცეკვაში ..........40
მოცეკვავეთა განლაგება და ხელის
მდგომარეობა მასობრივ ცეკვაში ..........41

მისალმება ........................................................................................................ 42
ქართული ........................................................................................................ 43
დავლური ........................................................................................................ 45
სამაია ........................................................................................................ 47
ლიტერატურა ........................................................................................................ 48

**II სემესტრი**
**თეორია და მეთოდიკა** ........................................................................................................ 51
ფერხული ........................................................................................................ 52
ფერხულთა კლასიფიკაცია ........................................................................................................ 52
ხელის ძირითადი მდგომარეობა და მოძრაობა ფერხულში ........................................................................................................ 53
ფეხის ძირითადი მდგომარეობა და მოძრაობა ფერხულში ........................................................................................................ 54
მეფერხულეთა განლაგება საფერხულო წყობაში ........................................................................................................ 55
სვანური ცეკვა ........................................................................................................ 56
მეგრული ცეკვა ........................................................................................................ 59
ლიტერატურა ........................................................................................................ 61

**სწავლების მეორე წელი**
**კურსის შინაარსი** ........................................................................................................ 65
**III სემესტრი**
**თეორია და მეთოდიკა** ........................................................................................................ 66
ქართული ხალხური ცეკვის შემსრულებლობა ........................................................................................................ 66
გაკვეთილი – ცეკვის სწავლების ორგანიზაციის ძირითადი ფორმა ........................................................................................................ 67
იმერული ცეკვა ........................................................................................................ 67
რაჭული ცეკვა ........................................................................................................ 69
ლეჩხუმური ცეკვა ........................................................................................................ 72
ლიტერატურა ........................................................................................................ 73

**IV სემესტრი**
**თეორია და მეთოდიკა** ........................................................................................................ 75
მესხურ-ჯავახური ცეკვა ........................................................................................................ 75
ქალაქური ცეკვა ........................................................................................................ 77
ლიტერატურა ........................................................................................................ 79

**სწავლების მესამე წელი**
**კურსის შინაარსი** ........................................................................................................ 81
**V სემესტრი**
**თეორია და მეთოდიკა** ........................................................................................................ 82
თუშური ცეკვა ........................................................................................................ 83
ქართლური ცეკვა ........................................................................................................ 85

კახური ცეკვა ....................................................................................................87
ლიტერატურა ....................................................................................................90

**VI სემესტრი**

**თეორია და მეთოდიკა** ....................................................................................................92
გურული ცეკვა ....................................................................................................92
აჭარული ცეკვა ....................................................................................................94
ლიტერატურა ....................................................................................................100

**სწავლების მეოთხე წელი**
**კურსის შინაარსი** ....................................................................................................103
**VII სემესტრი**
**თეორია და მეთოდიკა** ....................................................................................................103
ფშაური ცეკვა ....................................................................................................104
ხევსურული ცეკვა ....................................................................................................107
ლიტერატურა ....................................................................................................111

**VIII სემესტრი**
**თეორია და მეთოდიკა** ....................................................................................................113
მოხეური ცეკვა ....................................................................................................113
მთიულური ცეკვა ....................................................................................................118
ლიტერატურა ....................................................................................................126
დასკვნა ....................................................................................................130

# წინათქმა

ქართული ტრადიციული საცეკვაო ხელოვნების ისტორიული ძირები, მისი შემდგომი განვითარებისა და გამრავალფეროვნების ტენდენციები, უშუალოდ უკავშირდება ქვეყნის გეოგრაფიულ მდებარეობას, მისი ისტორიული კუთხეების წარსულსა და იქ ჩამოყალიბებულ ტრადიციებს, მომდევნო თაობების მხრიდან წარსულთან გამოკვეთილ მიმართებას.

საუკუნეების მანძილზე საქართველოს ცალკეულმა მხარემ საკუთარი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, ქორეოგრაფიული ენა შექმნა. ისტორიული კუთხეები მუდმივ ზეგავლენას ახდენდა და ამდიდრებდა ერთმანეთს, საბოლოოდ კი ეს გახდა საკმარისი საფუძველი საიმისოდ, რომ წარმოქმნილიყო ერთიანი ქართული ქორეოფოლკლორული ენა. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საქართველოს ისტორიულ საზღვრებში, მის ცალკეულ კუთხეში გამომუშავებული ტრადიციები გაედინებოდა მოსაზღვრე რეგიონების – მეზობელი ეთნოსების – კულტურულ სივრცეში და ახალ დამატებით ელფერს იძენდა. ბუნებრივია, ხდებოდა უკუპროცესიც: ჩვენი წინაპრები, აუცილებლობის შემთხვევაში, სხვებისაგანაც სწავლობდნენ და ადგილობრივ ტრადიციებს ამდიდრებდნენ. ცხადია, აღნიშნული პროცესი ყოველთვის პოზიტიური არ იყო, რადგან ტრადიციულს ჩვენთვის უცხო დანაშრევებიც ერეოდა და ამის მაგალითი ქართულ ქორეოკულტურაში, სამწუხაროდ, მრავლად მოიპოვება.

დაინტერესებული მკითხველის სამსჯავროზე გამოტანილი წინამდებარე სასწავლო პროგრამა, რომელსაც თან ახლავს საორიენტაციო მეთოდურ-პედაგოგიური მითითებები და რეკომენ-დაციები, მას დამხმარე მეთოდური სახელმძღვანელოს სახით წარმოგვიდგენს. ამდენად, წინამდებარე წიგნის *ქართული ხალხური ცეკვის* საგნობრივი სფერო არის მომავალ დამდგმელ ქორეოგრაფთა საუნივერსიტეტო მომზადების როგორც თეორიული, ასევე მათი სწორი მეთოდოლოგიური და პრაქტიკულ-მეთოდური უზრუნველყოფის შეუქცევადი პროცესი.

ამ ტიპის ლიტერატურის აქტუალობა გამძაფრდა ბოლო ხანს, როდესაც ერთმანეთს დაეჯახა რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები: არცთუ იშვიათად მოზარდი თაობის, მომავალ მსახიობ-

მოცეკვავეთა მომზადების საკმაოდ მასშტაბური სივრცე სრულიად არაკომპეტენტურ პედაგოგ-ქორეოგრაფთა ხელში აღმოჩნდა. ამდენად, დღის წესრიგში დადგა დამდგმელ-ქორეოგრაფთა მომზადების პროგრამის განხორციელების აუცილებლობა უკვე უმაღლესი სკოლის დონეზე. გარდა აღნიშნულისა, ამგვარი გადაწყვეტილების მიღება გამოწვეულ იყო იმითაც, რომ ქართული ხალხური ქორეოგრაფიული ტრადიციების შენარჩუნების, მისი განვითარების კონკრეტული კონცეპტუალური მოდელი, შემოქმედებითი პლატფორმის ფორმირება მიმდინარე ეტაპზე ახალი ამოცანებისა და გამოწვევების წინაშე გვაყენებს.

პრობლემის არსის ამგვარი გაგებით განსაკუთრებით იზრდება შემოთავაზებული დამხმარე-მეთოდური სახელმძღვანელოს ტიპის წიგნების სამეცნიერო და პრაქტიკულ-პედაგოგიური მნიშვნელობა.

ფრიად სასიამოვნოა, რომ წიგნში სწორად მიგნებული მეთოდოლოგიური მიდგომის საფუძველზე ქართული ხალხური ცეკვის სამყარო განხილულია ისეთ სტრუქტურულ კულტუროლოგიურ მოდელში, როგორიცაა: ეთნოგრაფიული მსოფლაღქმა (წესი, ჩვეულება, რწმენა), პოეტური სახისმეტყველება (სასიმღერო ტექსტი, ლექსი), მუსიკალური შინაარსი (მელოდია თავისი ვარიაციებით), ხალხური სამოსის ტრადიცია, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ელემენტები და ა.შ.

ამგვარი მიდგომა სრულად წარმოაჩენს, რომ ფოლკლორული ხელოვნება თავისი წარმოშობის პირველივე ეტაპიდან არის განუყოფელ-დაუნაწევრებელი მთლიანობა, რომელიც სათავეს იმდროინდელი ადამიანისათვის დამახასიათებელი ცნობიერების სინკრეტიზმში იღებს. საგულისხმოა, რომ ეს თვისება ხელოვნების ცალკეულ დარგს მომდევნო ეტაპზეც, კერძოდ, დიფერენციაციის შემდგომ პერიოდშიც ახასიათებდა, ვიდრე მან პროფესიულ სცენაზე არ გადაინაცვლა და სხვა თვისებრივი განზომილებანი არ შეიძინა.

დასასრულ, ერთი მნიშვნელოვანი გარემოების შესახებაც: ხალხის მიერ საუკუნეების მანძილზე შექმნილი საცეკვაო კულტურა არ ყოფილა და ვერც მომავალში იქნება უცნობი ფენომენური მოცემულობა, რომელზეც ვერ მოქმედებს დრო, თაობათა ცვალებადი გემოვნება და ახალი იდეებისადმი სწრაფვის სურვილი.

ვითარდება თუ არა ხელოვნება — ეს განსაკუთრებული კულტუროლოგიურ-ხელოვნებათმცოდნეობითი პრობლემაა და ამ

ეტაპზე, ანუ მოცემული წინათქმის ფარგლებში, მასზე შეჩერება, ალბათ, არ ღირს, თუმცა ერთი რამ კი აუცილებლად უნდა ითქვას: ფოლკლორული ხელოვნების ნებისმიერ დარგში ცვლილებები აუცილებლად ხდება.

ყოველ ახალ თაობას თავისი პრობლემები, განცდები და გრძნობები მოაქვს. ამის გამო იცვლება შეხედულებები, წარმოდგენები და ღირებულებათა სკალა. დარწმუნებული ვართ, ქართული ხალხური ცეკვის შესახებ სამომავლოდაც ბევრი დაიწერება, შეიქმნება არაერთი სამეცნიერო თუ პრაქტიკული დანიშნულების მეთოდურ-პედაგოგიური გამოკვლევა, რომლებიც არა მარტო გაამდიდრებს ამ სფეროში არსებულ საბიბლიოთეკო მემკვიდრეობას, არამედ ახალი შინაარსითაც შეავსებს ქართული ქორეოკულტურის ისედაც ვრცელ სამყაროს.

**ოლეგ ალავიძე**
ხელოვნებათმცოდნე, პედაგოგიკის დოქტორი, პროფესორი

# შესავალი

პროფესიული ქორეოგრაფიული განათლების სისტემაში საგანი *ქართული ხალხური ცეკვა,* ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფის სპეციალობისათვის, ერთ-ერთი ძირითადი მაპროფილებელი დისციპლინაა.

დამხმარე მეთოდური სახელმძღვანელო *ქართული ხალხური ცეკვა* შედგენილია მოქმედი სახელმწიფო მოთხოვნებისა და გამოსაშვების – ბაკალავრის – მომზადების სტანდარტების შესაბამისად (***BA*** 004.01. ***m***42), სპეციალობაში *ქორეოგრაფიული ხელოვნება,* სპეციალიზაცია *ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფი.*

საგნის სწავლების მიზანია უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტის მომზადება, ქართული ხალხური ცეკვის სწავლების თეორიისა და მეთოდიკის ათვისება, ქართული ცეკვის საშემსრულებლო ტექნიკის დაუფლება, სხვადასხვა კუთხის საცეკვაო კულტურის, მუსიკალური შინაარსისა და ხალხური ცეკვის ქორეოგრაფიული მემკვიდრეობის საბაზო ნიმუშების გაცნობა. მომავალ ქორეოგრაფთა პროფესიული დონისა და ცოდნის ამაღლება; ქართული ხალხური და აკადემიური ცეკვის ძირითადი ელემენტებისა და ილეთების შესწავლა; მოძრაობათა კოორდინაციის დაუფლება და გამძლეობის სრულყოფა; სხვადასხვა კუთხის ხალხური ცეკვის მანერის, მოძრაობის ხასიათისა და აკადემიური ცეკვის სტილის გადმოცემის ჩვევის გამომუშავება; შემსრულებლებში ცეკვის ტენდენციის (მიდრეკილების), მუსიკალურობის, ემოციურობისა და არტისტულობის უნარის გაღვივება; ანსამბლურობის შეგრძნებისა და სცენის დანაწილება-აღქმის უნარ-ჩვევის განვითარება; თითოეულ სტუდენტში შემოქმედებითი ინდივიდუალობის გამოვლენა. პრაქტიკულ (ჯგუფურ და ინდივიდუალურ) მეცადინეობებზე ქართული ხალხური ცეკვის ძირითადი ელემენტების შესწავლა; მოქნილობის, ძალისა და გამძლეობის, ტექნიკური ჩვევის გამომუშავება, კოორდინაციისა და იმპროვიზაციის განვითარება; ცეკვის მუსიკალური შინაარსის შესწავლა-გათვისება; პედაგოგიური, სადადგმო და სარეპეტიციო მუშაობის ჩვევის დაუფლება; დამოუკიდებლად საცეკვაო კომბინაციების, სრული ეტიუდისა და ფრაგმენტის, დასრულებული ქორეოგრაფიულ ნომრის შექმნა (შეთხზვა); დამოუკიდებლად გაკვეთილის ჩატარება.

წიგნის სტრუქტურა და შინაარსი სასწავლო პროგრამის ხასიათისაა. თითოეული თავი აგებულია ერთი და იმავე პრინციპით და მოიცავს საქართველოს თითოეული მხარის საცეკვაო ნიმუშებს კუთხური, ისტორიული, გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული თავისებურების გათვალისწინებით. სასწავლო დისციპლინის სტრუქტურა და შინაარსი ორიგინალურია, რამდენადმე თავისებური და უანალოგო ქართულ ქორეოგრაფიაში.

სასწავლო საგანი ორნაწილიანია და პრაქტიკული მეცადინეობის პარალელურად ითვალისწინებს თეორიულ სწავლებასაც.

ლექციებზე სტუდენტები ეცნობიან თეორიულ საკითხებს: ქართული ხალხური ქორეოგრაფიის განვითარების ეტაპებს, ხალხური საცეკვაო ხელოვნების აქტიურ პრობლემებს, რაც ზრდის და ავითარებს მათ ქორეოგრაფიულ და მუსიკალურ კულტურას, აფართოებს ზოგად თვალსაწიერს.

საკრავების მელოდია (დოლი, გარმონი, აკორდეონი, ნაკლებად – ფორტეპიანო) უნდა შეესაბამებოდეს საცეკვაო მოძრაობის სტილსა და ხასიათს.

*ქართული ხალხური ცეკვა* – სასწავლო კურსი ოთხწლიანია და მასში სემესტრების მიხედვით კონკრეტულად და თანმიმდევრულადაა განსაზღვრული თითოეული კურსის სასწავლო ამოცანა. ცალკეულ ნაწილს ცოდნის გასაღრმავებლად თან ერთვის საკონტროლო საკითხები და დავალებები.

საგნის სწავლებას კვირაში ეთმობა რვა საათი, ინდივიდუალური მეცადინეობისათვის კი თითოეულ სტუდენტზე გამოყოფილია ნახევარი საათი.

საგანში *ქართული ხალხური ცეკვა* ყოველი სემესტრის ბოლოს გათვალისწინებულია გამოცდა. დადებითი შეფასების შემთხვევაში, სტუდენტი თითოეულ სემესტრში ითვისებს ხუთ კრედიტს, ე.ი. უნივერსიტეტის ბაკალავრიატში სწავლის განმავლობაში – 40 კრედიტს.

სასწავლო დისციპლინას ერთვის თემატური გეგმა, რომელიც პედაგოგს უადვილებს საგნის ორიენტირებას, სტუდენტს კი კურსის სისტემურ-მწყობრ და თანმიმდევრულ შესწავლას. პედაგოგ-ქორეოგრაფს შეუძლია შემოქმედებითად მიუდგეს და, მიმართულების ხელმძღვანელთან შეთანხმებით, თავის შეხედულებისაებრ ზოგიერთი თემა მსგავსით შეცვალოს.

გაკვეთილის ხანგრძლივობა 1 სთ. და 30 წუთი:

ძელთან ვარჯიში – 20 წთ. შესვენება 2 წთ.

დარბაზის შუაში – 20 წთ. შესვენება 3 წთ.

საცეკვაო მასალებისა და ეტიუდების კომპოზიციური წყობის შესწავლა – 45 წუთი.

დამხმარე მეთოდური სახელმძღვანელოს მომზადებისას ავტორები ეყრდნობოდნენ ცეკვის ცნობილი ოსტატებისა (დავით ჯავრიშვილის, ლილი გვარამაძის, ავთანდილ თათარაძის) და პედაგოგ-პრაქტიკოსების უმდიდრეს გამოცდილებას.

დამხმარე სახელმძღვანელოში ექსპერიმენტის სახით შესულია უჩა დვალიშვილის მიერ შემუშავებული გაკვეთილის სტრუქტურა (ძელთან სავარჯიშოების სისტემა) და ტრადიციული ქართული ხალხური ქორეოგრაფიული გაკვეთილის მეთოდოლოგიის გათვალისწინებით შექმნილი ქართული ხალხური ცეკვის ხელისა და ფეხის პოზიციების ახალი ვარიანტი.

საგნის შესწავლის პროცესში გამოიყენება დამატებითი საინფორმაციო საშუალებები: აუდიო და ვიდეო მასალები, სხვადასხვა თვალსაჩინოება და ნორმატიულ-საცნობარო ლიტერატურა.

ქართული ცეკვის გაკვეთილებზე სტუდენტები ისმენენ ხალხური სასიმღერო და საცეკვაო მელოდიების საუკეთესო ნიმუშებს, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მუსიკალური გემოვნების გამომუშავებისა და დახვეწისათვის. მუსიკალურ მასალებს სათანადო დოზით არჩევს პედაგოგი.

ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიაში დამკვიდრებული ზოგიერთი არაზუსტი ტერმინი ახლითაა შეცვლილი, ძველი კი ახლის გვერდით ფრჩხილებშია ჩასმული. ტერმინთა უმართებულო ფორმები თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმების შესაბამისადაა გასწორებული. საყოველთაოდ გავრცელებულ საცეკვაო მოძრაობათა აღმნიშვნელი ტერმინი *ტექნოლოგიური მასალა* უარყოფილია და მას ჩაენაცვლა ახალი ტერმინები: *საცეკვაო ლექსიკა* ან *საცეკვაო მოძრაობა.* მოძველებული *მუსიკალური თანხლების ანდა მუსიკალური გაფორმების ნაცვლად* სასურველია დამკვიდრდეს ახალი, უფრო მართებული ტერმინი – *ცეკვის მუსიკალური შინაარსი.*

სტუდენტები სწავლობენ როგორც ფოლკლორულ, ასევე ქორეოგრაფთა მიერ სასცენოდ დამუშავებულ ხალხურ ცეკვებს, ეცნობიან ქართველი და უცხოელი ბალეტმაისტერების ხალხურ

და თანამედროვე თემებზე შექმნილ საუკეთესო ქორეოგრაფიულ ნაწარმოებებს და შეუძლიათ მათი, როგორც ნიმუშების, გამოყენება თავიანთ დადგმებში ცეკვის თემის, იდეის, სახისა და ხასიათის გადაწყვეტისას.

სწავლების პირველივე წლიდან სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ სამეცნიერო ფოლკლორულ ექსპედიციებში, აგრეთვე, სხვადასხვა ქორეოგრაფიულ ღონისძიებაში.

სტუდენტის თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ფასდება დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით, ქორეოგრაფიული ხელოვნების სპეციფიკის გათვალისწინებით.

სტუდენტის ცოდნის შეფასების გაადვილების მიზნით, წინამდებარე ბარათში მოცემულია სტუდენტის მიერ სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასების შესაძლო შეფარდების თვალსაჩინო სქემა. სილაბუსის მიხედვით საგნის მასწავლებელს შეუძლია შეცვალოს ქულათა შეფარდება. ცვლილება უნდა თავსდებოდეს გამოცდამდელი პერიოდის შეფასების ქულათა 60%-ის ფარგლებში.

| | | |
|---|---|---|
| I | დასწრება | 20 ქულა |
| II | აქტივობა | 20 ქულა |
| III | შუასემესტრული შემოწმება | 20 ქულა |
| VI | გამოცდა | 40 ქულა |

კონკრეტული სასწავლო კურსის გავლისას სტუდენტის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. სტუდენტის მიერ 100–დან 51 ქულის დაგროვება კრედიტის მინიჭების წინაპირობაა. 41-დან 50 ქულამდე დაგროვების შემთხვევაში, სტუდენტს კიდევ ერთხელ ეძლევა საბოლოო გამოცდაზე გასვლის უფლება – კურსის განუმეორებლად. 40-ზე ნაკლები ქულის დაგროვებისას სტუდენტმა თავიდან უნდა გაიაროს იგივე კურსი.

შეფასების სისტემაში ქულების განაწილების სქემა

| | ქულა | შეფასება |
|---|---|---|
| A | 91-100 | *ფრიადი* |
| B | 81-90 | *ძალიან კარგი* |
| C | 71-80 | *კარგი* |
| D | 61-70 | *დამაკმაყოფილებელი* |
| E | 51-60 | *საკმარისი* |
| FX | 41-50 | *არადამაკმაყოფილებელი* – სტუდენტს მოცემულ დისციპლინაში ეძლევა საბოლოო გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება |
| | 0-40 | *სრულიად არადამაკმაყოფილებელი* – სტუდენტმა კრედიტის მიღებისათვის თავიდან უნდა გაიაროს მოცემული საგნის კურსი |

საგნის შესწავლის შემდეგ სტუდენტებმა უნდა იცოდნენ:

• ქართული ხალხური ცეკვის ტერმინოლოგია.

• ეგზერსისის მოძრაობათა თანმიმდევრობა ძელთან და დარბაზის შუაში.

• ცალკეული მოძრაობისა და საცეკვაო კომბინაციის შესრულების მეთოდიკა.

• რომელიმე კუთხის ფოლკლორული (ავთენტიკური) ან აკადემიური ცეკვის მოძრაობის შესრულების სტილის, ხასიათისა და მანერის თავისებურება.

• ქართული ხალხური ცეკვის ქორეოგრაფიული კულტურული მემკვიდრეობის საბაზო ნიმუშები.

• ქართული ხალხური ცეკვის შესრულების ტექნიკისა და გამომსახველობის ფლობა.

• შესრულების ემოციურობა და არტისტულობა.

• სტილის, მანერის, მოძრაობის შესრულების ხასიათის ჩვენება.

• რომელიმე კუთხის ან აკადემიური ცეკვის სტილის, მანერისა და მოძრაობის შესრულების ხასიათის ზუსტი გადმოცემა.

• ქართული თუ უცხოური ბალეტებიდან და ოპერებიდან, საკონცერტო ნომრებიდან, ხალხური ცეკვის ანსამბლების რეპერტუარიდან – მეთოდოლოგიურად, ზუსტად, გამომსახველად და მუსიკალურად – მოძრაობის, კომბინაციის, ეტიუდის, ცეკვის ფრაგმენტის შესრულება.

დამხმარე სახელმძღვანელოს ერთვის ბიბლიოგრაფია, რომელიც ლიტერატურის შერჩევისა და გამოყენების შესაძლებლობას აძლევს საგნის პედაგოგს და წინაპირობაა სემესტრების მიხედვით ნაყოფიერი სასწავლო, საკვლევაძიებო და შემოქმედებითი მუშაობის გასაშლელად. ასევე პედაგოგის მიერ რეკომენდებულია უახლესი გამოცემები, მონოგრაფიები, გამოკვლევები, ნაშრომები და სტატიები. მადლიერების გრძნობით გაწეული დახმარებისათვის დიდ მადლობას ვუხდით შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ქორეოგრაფიული ხელოვნების მიმართულების პროფესორებსა და პედაგოგებს.

## სწავლების პირველი წელი
## I სემესტრი

### თემატური გეგმა

| | თემის დასახელება |
|---|---|
| | შესავალი |
| 1<br>2 | თეორია და მეთოდიკა<br>ქართული ხალხური ცეკვის გაკვეთილის სტრუქტურა |
| | ძელთან ვარჯიში<br>ძელთან ვარჯიშის დანიშნულება<br>ძელთან ვარჯიშის შესრულების ძირითადი მოთხოვნები<br>ძელთან ვარჯიშის სასწავლო კომბინაციების შედგენის მოთხოვნები<br>ვარჯიში დარბაზის შუაში<br>საეტიუდო მუშაობა |
| 3 | სვლა, სირბილი |
| | ნაბიჯის ფაზები<br>ნაბიჯით სვლა<br>სირბილის სახეობა |
| 4 | მოძრაობის შესწავლის მეთოდიკა |
| 5 | ქართული ცეკვის ძირითადი ელემენტები და ცნებები |
| | ფეხის ძირითადი მდგომარეობა-პოზიცია |
| | ხელის ძირითადი მდგომარეობა-პოზიცია |
| | ხელის ძირითადი მდგომარეობა (ვაჟი) |
| | ხელის ძირითადი მდგომარეობა (ქალი) |
| | თავის ძირითადი მდგომარეობა და მოძრაობა |
| | ხელის მტევნის მდგომარეობა |
| | ხელის მტევნის მოძრაობა |
| | ხელის მტევნის ბრუნვითი მოძრაობა |
| | ხელის მოძრაობა მხარის სახსარში |
| | ხელის მოძრაობა იდაყვის სახსარში |
| | ხელის მოძრაობა მხარის, იდაყვისა და სხივ-მაჯის სახსარში |
| | ხელის წრიული-ბრუნვითი მოძრაობა |
| | ზეტანის ძირითადი მოძრაობა |
| | მოცეკვავეთა განლაგება და ხელის მდგომარეობა წყვილთა ცეკვაში (ქალ-ვაჟი) |
| | მოცეკვავეთა განლაგება და ხელის მდგომარეობა მასობრივ ცეკვაში |
| | მისალმება (თავის დაკვრა) |
| 6 | ***ქართული*** – თეორია და მეთოდიკა |
| 7 | ***დავლური*** – თეორია და მეთოდიკა |
| 8 | ***სამაია*** – თეორია და მეთოდიკა |

## II სემესტრი

| | |
|---|---|
| 1 | თეორია და მეთოდიკა |
| 2 | ფერხული |
| | ფერხულის კლასიფიკაცია შემსრულებელთა მიხედვით |
| | ფორმის მიხედვით |
| | შინაარსის მიხედვით |
| | მუსიკალურ-ქორეოგრაფიული სტრუქტურის მიხედვით |
| | ხელის ძირითადი მდგომარეობა და მოძრაობა ფერხულში |
| | ფეხის ძირითადი მდგომარეობა და მოძრაობა ფერხულში |
| | ფერხულთა შესრულების კუთხური თავისებურებანი |
| | მეფერხულეთა განლაგება საფერხულო წყობაში |
| 3 | **სვანური ცეკვა** – თეორია და მეთოდიკა. |
| | სვანური ცეკვა თემატური შინაარსის მიხედვით |
| | ძირითადი ელემენტები |
| | *ლემჩილი* |
| | *დალა კოჯას ხელღვაჟალე* |
| | *ამირანის ფერხული (სანადირო)* |
| | *ლილე* |
| | *ლაჟღვაში* |
| | *შუშპარი* |
| | *თამარ დედფალ* |
| | *ყანსავ ყიფიანე* |
| | *როსტომ ჭაბუკი* |
| | *ჩეყარამსა* |
| | *მირმიქელა* |
| | *შინავორვილ* |
| | *რამაიდა* |
| | *ცერული* |
| 4 | **მეგრული ცეკვა** – თეორია და მეთოდიკა |
| | მეგრული ცეკვა თემატური შინაარსის მიხედვით |
| | ძირითადი ელემენტები |
| | *ოხოხოია* |
| | *ჩავუნა* |
| | *ჰარირა* |
| | *ძაბრალე* |
| | *ჯანსულო* |
| | *ოსხაპუე* |

## სწავლების მეორე წელი
## III სემესტრი

| | |
|---|---|
| 1 | **თეორია და მეთოდიკა** |
| 2 | ქართული ხალხური ცეკვის შემსრულებლობა |
| 3 | **გაკვეთილი** – ცეკვის სწავლების ორგანიზაციის ძირითადი ფორმა |
| 4 | **იმერული ცეკვა** – თეორია და მეთოდიკა |
| | იმერული ცეკვის სახეები თემატური შინაარსის მიხედვით |
| | ძირითადი ელემენტები |
| | *მადლი მახარობელსა* |
| 5 | **რაჭული ცეკვა** – თეორია და მეთოდიკა |
| | რაჭული ცეკვის სახეები თემატური შინაარსის მიხედვით |
| | ძირითადი ელემენტები |
| | *ქრისტეს სადიდებელი.* |
| | *მაღლა მთას მოდგა* |
| | *დივორსა დასხდნენ ვეზირნი* |
| | *ოსიე* |
| | წერეთელმა დაიბარა |
| | *ერთხელ წისქვილს წასვლისათვის* |
| | *ქვედრულა მოდიდებულა* |
| | *თამარ ქალი* |
| | *ორიდელა* |
| | *ნაცვლია* |
| | *ბერქალური* |
| | *ჩემო ყურშაო* |
| | *ქალსა ვისმე* |
| | *ჟუჟუნა* |
| | *რაშოვდა* |
| | *ოღრო-ჩოღრო* |
| 6 | **ლეჩხუმური ცეკვა** – თეორია და მეთოდიკა |
| | ლეჩხუმური ცეკვის სახეები თემატური შინაარსის მიხედვით |
| | ძირითადი ელემენტები |
| | *რანინა* |

## IV სემესტრი

| | |
|---|---|
| | |
| 1 | **თეორია და მეთოდიკა** |
| 2 | **მესხურ-ჯავახური ცეკვა** – თეორია და მეთოდიკა |
| | მესხურ ჯავახური ცეკვა თემატური შინაარსის მიხედვით |
| | ძირითადი ელემენტები |
| | *სამყრელო* |
| | *მამლი მუხასა* |
| | *ოქრომჭედელო* |
| | *იდუმალა* |
| | *შვიდი წყვილი ფერხული* |
| 3 | **ქალაქური ცეკვა** – თეორია და მეთოდიკა |
| | ქალაქური ცეკვა თემატური შინაარსის მიხედვით |
| | ძირითადი ელემენტები |
| | *კინტოური* |
| | *ყარაჩოხული* |
| | *მუხამბაზი* |
| | *იალის თამაში* |
| | **სწავლების მესამე წელი**<br>**V სემესტრი** |
| 1 | **თეორია და მეთოდიკა** |
| 2 | **თუშური ცეკვა** – თეორია და მეთოდიკა |
| | თუშური ცეკვა თემატური შინაარსის მიხედვით |
| | ძირითადი ელემენტები |
| | *საცეკვაო* |
| | *ქორბელელა* |
| | *ფერჯისა* |
| 3 | **ქართლური ცეკვა** – თეორია და მეთოდიკა |
| | ქართლური ცეკვა თემატური შინაარსის მიხედვით |
| | ძირითადი ელემენტები |
| | *ჰაიდა, ქალებო* |
| | *ზემყრელო* |
| | *ფერჯისა* |
| 4 | **კახური ცეკვა** – თეორია და მეთოდიკა |
| | კახური ცეკვა თემატური შინაარსის მიხედვით |
| | ძირითადი ელემენტები |
| | *ფერხული* |
| | *ცანგალა და გოგონა* |
| | *შავლეგო* |
| | |

## VI სემესტრი

| | |
|---|---|
| 1 | **თეორია და მეთოდიკა** |
| 2 | **გურული ცეკვა** – თეორია და მეთოდიკა |
| | გურული ცეკვა თემატური შინაარსის მიხედვით |
| | ძირითადი ელემენტები |
| | **ფერხული** |
| | *ფარცა* |
| | *კალმახობა* |
| 3 | **აჭარული ცეკვა** – თეორია და მეთოდიკა |
| | აჭარული ცეკვა თემატური შინაარსის მიხედვით |
| | ძირითადი ელემენტები |
| | *განდაგანა* |
| | *ხორუმი* |
| | *გადახვეული ხორუმი* |
| | *ოჰო, ნანო* |
| | *ლაზური* |
| | **სწავლების მეოთხე წელი**<br>**VII სემესტრი** |
| 1 | **თეორია და მეთოდიკა** |
| 2 | **ფშაური ცეკვა** – თეორია და მეთოდიკა |
| | ფშაური ცეკვა თემატური შინაარსის მიხედვით |
| | ძირითადი ელემენტები |
| | *ფშაური საცეკვაო (ფშაველ ქალთა ლხინი)* |
| | *ფშაური სამაია* |
| | *ფერჰისა* |
| | *ჯვარის წინასა* |
| 3 | **ხევსურული ცეკვა** – თეორია და მეთოდიკა |
| | ხევსურული ცეკვა თემატური შინაარსის მიხედვით |
| | ძირითადი ელემენტები |
| | *ფერჰისული* |
| | *კეჭნაობა* |
| | *ფარიკაობა* |

## VIII სემესტრი

| | |
|---|---|
| 1 | **თეორია და მეთოდიკა** |
| 2 | **მოხეური ცეკვა** – თეორია და მეთოდიკა |
| | მოხეური ცეკვა თემატური შინაარსის მიხედვით |
| | ძირითადი ელემენტები |
| | *მოხეური ანუ ყაზბეგური* |
| | *გერგეტულა* |
| | *აბარბარე* |
| | *ფერხისა* |
| | *ფერხისა* (გრძელი)<br>*სად მიხვალ, თეთრო ქათამო* |
| 3 | **მთიულური ცეკვა** – თეორია და მეთოდიკა |
| | მთიულური ცეკვა თემატური შინაარსის მიხედვით |
| | ძირითადი ელემენტები |
| | *მთიულური* |
| | *ხანჯლური* |
| | *მწყემსური* |
| | *მხედრული* |
| | *ფერხისა* |

# სწავლების პირველი წელი

## კურსის შინაარსი

პირველ კურსზე სტუდენტები ეცნობიან ქართული ხალხური ცეკვის სისტემას, მისი განვითარების ძირითად ეტაპებს, გაკვეთილის სტრუქტურას, როგორც სწავლების ორგანიზაციის ძირითად ფორმას, სასწავლო კურსით გათვალისწინებული თითოეული მოძრაობის სწავლების მეთოდიკასა და მასალის შესატყვის საცეკვაო ტერმინებს; პრაქტიკულ მეცადინეობებზე ძელთან და დარბაზის შუაში სტუდენტები ეუფლებიან ფეხის, ტანის, ხელისა და თავის მდგომარეობასა და მოძრაობას, მდგრადობას, მოქნილობას, ყურადღება ექცევა მუსიკალობას – მუსიკალური მეტრისა და რიტმის შეგრძნება-განვითარებას. სტუდენტები, განვლილი მასალის საფუძველზე, ძელთან და დარბაზის შუაში შეისწავლიან ქართული ხალხური ცეკვის მარტივ მოძრაობებს, შედარებით ადვილ კოორდინირებულ ელემენტებსა და სავარჯიშოებს, მარტივ საცეკვაო ეტიუდებს; ეუფლებიან ილეთთა კომბინაციების შედგენის უნარ-ჩვევებს; სისტემატურად და თანმიმდევრულად ხვეწენ ცალკეულ მოძრაობასა და კომბინაციას.

ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფის სპეციალობით – საგანში *ქართული ხალხური ცეკვა* – პრაქტიკული მეცადინეობა იწყება ძელთან ვარჯიშით.

I სემესტრში, სალექციო (თეორიული) მეცადინეობის ჩატარების შემდეგ, პრაქტიკულ მეცადინეობაზე, სტუდენტები პედაგოგის ხელმძღვანელობით ადგენენ ძელთან ეგზერსისის (სავარჯიშოების) სხვადასხვა კომბინაციას, ხოლო II სემესტრში, განვლილი მასალის საფუძველზე, პედაგოგის კონსულტაციით დამოუკიდებლად ადგენენ და ასრულებენ ძელთან ვარჯიშს.

პირველ სემესტრში შეისწავლება: *ქართული, დავლური და სამაია;* მეორეში – სვანური *(ლემჩილი, დალა კოჯას ხელღვაჟალე, ამირანის ფერხული, ლილე, ლაჟღვაში, შუშპარი, მირმიქელა, ყანსავ ყიფიანე, თამარ დედფალ, როსტომ ჭაბუკი, ჩეყარამსა, შინა ვორგილი, რამაიდა, ცერული)* და მეგრული *(ოხოხოია, ჩაგუნა, პარირა, ძაბრალე, ჯანსულო, ოსხაპუე)* ცეკვები.

# I სემესტრი
## შესავალი

*ქართული ხალხური ცეკვის* საგანი, მიზანი და ამოცანები. კურსის სტრუქტურა. საგნის კავშირი სხვა სპეციალურ დისციპლინებთან.

**თეორია და მეთოდიკა**

ცეკვის დეფინიცია (ცნების განსაზღვრა). ქართული ცეკვის სათავეები. ქართული ხალხური ქორეოგრაფიის ცნებები და ტერმინები. ქართული ხალხური ცეკვის ძირითადი ელემენტები, მათი ხალხური, სპეციფიკური და სცენური სახელწოდებანი. ისტორიული ცნობები ქართული ცეკვის ძირითადი ელემენტების შესახებ (საისტორიო და ლიტერატურული წყაროები, ეთნოგრაფიული და იკონოგრაფიული მასალები, ხუროთმოძღვრული ძეგლები, მხატვრული ნაწარმოებები). გეოგრაფიული, ეკონომიკური, სოციალური გარემო და მისი გავლენა ქართული ხალხური საცეკვაო ხელოვნების ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე. ცეკვის წარმოშობა და მნიშვნელობა ქართველი ერის ცხოვრებაში (წარსულსა და აწმყოში).

## ქართული ხალხური ცეკვის გაკვეთილის სტრუქტურა

სტრუქტურა – გაკვეთილის შემადგენელი ნაწილების ურთიერთმიმართება, აგებულება, წყობა.

პედაგოგის საქმიანობაში გადამწყვეტი ფაქტორია გაკვეთილის გამოწვლილვით, ღრმა ცოდნითა და მიზანდასახულობით შედგენა. თითოეული გაკვეთილი ეყრდნობა განვითარების კანონზომიერებას, – მარტივიდან რთულისაკენ, პატარიდან დიდისაკენ, – და წარმოადგენს მთელი ჯაჭვური სასწავლო პროცესის თანმიმდევრულ რგოლს. ქართული ხალხური ცეკვის გაკვეთილს, ქორეოგრაფიული ხელოვნების სხვა მიმართულების გაკვეთილის დარად, აქვს მართებულად აგებული, ნაწილებად დაყოფილი სტრუქტურა. თითოეულს კი თავისი მიზანი, ამოცანა გააჩნია და გარკვეული ფუნქცია ეკისრება. მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ყოველ კონკრეტულ გაკვეთილსაც აქვს თავისი კონკრეტული ამოცანა, რომელიც უშუალოდ ამ გაკვეთილზე უნდა გადაიჭრას. ამის გამო

შესაძლებელია მისი ნაწილების თანმიმდევრობის ვარირება – პედაგოგს შეუძლია ერთი ნაწილის მეორეთი შეცვლა, რომელიმეს გამოუყენებლობაც კი, თუ ამას მის მიერ დასმული ამოცანა მოითხოვს.

საყოველთაოდ მიღებულია ქართული ხალხური ცეკვის სამნაწილიანი გაკვეთილი:

- ვარჯიში ძელთან.
- ვარჯიში დარბაზის შუაში.
- საეტიუდო მუშაობა.

გაკვეთილის ასეთი აგებულება განპირობებულია ადამიანის ორგანიზმის ფსიქოლოგიური თავისებურებით და იცავს მას მოსალოდნელი ტრავმისაგან. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სხვადასხვა მოძრაობა, საცეკვაო და სასწავლო კომბინაცია, მათი შესრულების ტექნიკა იწვევს ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ დაძაბულობას. ამიტომ გაკვეთილის თითოეულ ნაწილში რეკომენდებულია ჯერ შედარებით მარტივი მოძრაობის შესრულება, შემდეგ თანდათანობით ტექნიკურად გართულება იმ ელემენტებით, რომელთა შესრულება მოითხოვს ძალის მაქსიმალურ მობილიზაციას. რთული ძალისმიერი მოძრაობა და მსგავსი კომბინაციები უნდა შეერწყას შედარებით მარტივს, რათა მეცადინეობის პროცესში შემსრულებელმა აღიდგინოს ძალა და თავისუფლად დაძლიოს გაკვეთილის მომდევნო ნაწილი. ქართული ხალხური ცეკვის გაკვეთილის მსგავსი წყობა გულისხმობს ეტაპობრივად აცეკვებას. თუმცა ძელთან ვარჯიშში მინიმუმამდეა დასული ცეკვა, დარბაზის ცენტრში მისი მნიშვნელობა იზრდება, საეტიუდო მუშაობაში კი ის ჭარბადაა. იმის მიხედვით, თუ როგორია ქართული ხალხური ცეკვის სწავლების საბოლოო მიზანი – მოცეკვავეს ვამზადებთ, ბალეტმაისტერს თუ პედაგოგს – ფსიქიკური და ფიზიკური დატვირთვა სხვადასხვაგვარად ნაწილდება. მაგალითად: მოცეკვავის მომზადებისას ქართული ცეკვის გაკვეთილის ბოლოს გაიზრდება ფიზიკური დატვირთვა და იკლებს ფსიქოლოგიური, პედაგოგის მომზადებისას კი მოიმატებს ფსიქიკური დატვირთვა – ფიზიკურის მოუკლებლად.

## ძელთან ვარჯიში

ძელთან ვარჯიში ქართული ხალხური ცეკვის გაკვეთილის პირველი ნაწილია. ზოგადად, სრული გაკვეთილის წარმატებით დამთავრება მეტწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კვალიფიციურადაა შედგენილი ძელთან სავარჯიშოები.

ძელთან ვარჯიშის შესწავლის მიზანია:

- ქართული ხალხური ცეკვის ელემენტების შესრულების მეთოდიკის ათვისება.
- საშემსრულებლო ოსტატობის ამაღლება.
- უფრო რთული სავარჯიშოებისა და ელემენტების შესასრულებლად სახსრის მყესოვანი აპარატის მომზადება.
- კომბინირებული მოძრაობის ელემენტარული ჩვევების დაუფლება.
- ქართული საცეკვაო ენის (ლექსიკის) გაცნობა.

ძელთან სრულდება თოთხმეტი სავარჯიშო:

- ჩაჯდომა.
- ტერფმოქნილობის ვარჯიში.
- ფეხის დაბალი აქნევა.
- ფეხით წრიული მოძრაობა იატაკზე და ჰაერში.
- ჩაკვრითი ვარჯიში.
- ფეხის დაბალი და მაღალი მობრუნება.
- ფეხდაკვრით (ტერფდაკვრით) ვარჯიში.
- დაუძაბავი ტერფით ვარჯიში.
- ფეხჩადგმითი (ფეხჩახვევით) ვარჯიში.
- ტერფის ზიგზაგისებური ვარჯიში.
- ფეხის გახსნა $90^{0}$-ზე.
- ფეხის მაღლა აქნევა.
- ხტომა.
- ბუქნი.
- ცერების ვარჯიში.

თითოეული სავარჯიშო შესრულების კრიტერიუმი სხვადასხვა ხერხის საფუძველზე ჩამოყალიბდა. ძელთან ვარჯიშის სასწავლო კომბინაციები ლაგდება ეროვნული მანერის – ხასიათის შესაბამისად.

გარდა ძელთან ზემოჩამოთვლილი სავარჯიშოებისა, ეგზერსისში შეიძლება გასმის, ჩაკვრის, მუხლილეთის, ნაკვთურა მოძრაობის, ტრიუკის ელემენტისა და სხვათა ჩართვა, რომლებიც არ დააბრკოლებს კომბინაციების შესწავლის ძირითად მიზანს, ხელს შეუწყობს ტექნიკის დაუფლებასა და შესრულების კოორდინაციას.

ძელთან ვარჯიშის ზემოთ მოყვანილი მოძრაობათა თანმიმდევრობა არ არის აქსიომა და შეიძლება მისი ვარირება, მაგრამ სავარჯიშოების დალაგებისას პედაგოგმა აუცილებლად უნდა შეინარჩუნოს ნელი და სწრაფი ტემპის მონაცვლეობა; მარტივისა და რთულის კომბინირება; სხვადასხვა ჯგუფის კუნთზე დატვირთვა; ვარჯიშების თანმიმდევრობა; ძელთან ვარჯიშის ანატომიური არსი; თავის, ტანისა და ხელის სწორი მდგომარეობა; ძელთან და ცენტრში მოძრაობათა ელემენტების დაუფლება; შესატყვისი ტერმინოლოგიის შესწავლა.

## ძელთან ვარჯიშის დანიშნულება

ძელთან ვარჯიში ქართული ხალხური სასცენო ცეკვის გაკვეთილის აუცილებელი და მნიშვნელოვანი ნაწილია და დამოკიდებულია იმაზე, რამდენად მართებულადაა აგებული და ლოგიკურად შედგენილი კომბინაციები. რამდენადაც პედაგოგისა და სტუდენტის მიერ გაცნობიერებულია შესასწავლ ელემენტებთან მიდგომა, იმდენად შედეგიანი და წარმატებული იქნება გაკვეთილის მომდევნო ორი ნაწილი. ყოველი კომბინაციისა და მოძრაობის შემდეგ ვარჯიშში ერთვება კუნთების გარკვეული ჯგუფი, რომლებზეც დატვირთვა სწორად უნდა გაანაწილოს პედაგოგმა. ძელთან ვარჯიშმა არ უნდა მოადუნოს შემსრულებელი, პირიქით, მოამზადოს ორგანიზმი უფრო მეტი ფიზიკური და ფსიქოლოგიური დატვირთვისათვის, დარბაზის შუაში ქორეოგრაფიული მასალის ათვისებისათვის.

ძელთან ვარჯიშის სასწავლო კომბინაციის შედგენისას, დასახული მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად, საჭიროა სხვადასხვა მოთხოვნის დაცვა, რომელთა გამოყენებით პედაგოგს შეუძლია კომბინაციათა შედგენა. სამწუხაროდ, არ არსებობს ქართული ხალხური ცეკვის ძელთან ეგზერსისის ელემენტების შესწავლისა და შესრულების ერთიანი მეთოდიკა, ისევე, როგორც ამ ელემენტების აღმნიშვნელი ერთიანი ზოგადი ტერმინოლოგია. პედაგოგთა ნაწილი მხარს უჭერს კლასიკური ცეკვის სკოლებისათვის დამახასიათებელ

ფრანგულ ტერმინოლოგიას, ნაწილმაც არჩევანი ქართულ ტერმინოლოგიასა და ქართული ხალხური ცეკვის მოძრაობათა აღმნიშვნელ ტერმინებზე შეაჩერა. ჩვენს ნაშრომში გამოიყენება როგორც ქართული, ასევე ფრანგული ტერმინოლოგია, ვინაიდან ზოგიერთ მოძრაობას აქვს მხოლოდ ქართული სახელწოდება (გასმა, ჩაკვრა, ცერილეთი...) ან მხოლოდ ფრანგული (flik-flak) და ა.შ.

## ძელთან ვარჯიშის შესრულების ძირითადი მოთხოვნები

- საყრდენი ფეხის ძალზე (მეტისმეტად) გამართვა.
- მომუშავე ფეხის ზუსტი საწყისი მდგომარეობა.
- ფეხის გახსნა მომუშავე ფეხის ქვედა (წვივის კუნთები და ტერფი) ნაწილით, ბარძაყის კუნთების დახმარებით მომუშავე ფეხის მიმართულების შენარჩუნება.
- მხრებისა და ბარძაყების სისწორის შენარჩუნება.
- მომუშავე ფეხის მიმართულების (წინ, გვერდზე, უკან) შენარჩუნება.

## ძელთან ვარჯიშის სასწავლო კომბინაციების შედგენის მოთხოვნები

- თითოეული კომბინაციის შედგენისას ეროვნული ხასიათის გათვალისწინება.
- მუსიკალური მასალის ქორეოგრაფიულთან შერწყმა და პირიქით.
- შემსრულებელთა ასაკობრივი თავისებურებისა და ფიზიკური შესაძლებლობის გათვალისწინება.
- ლოგიკურობა.
- კომბინაციაში ვარჯიშის შესრულების ყველა მიმართულების (წინ, გვერდზე, უკან) არსებობა.
- ეროვნული ქორეოგრაფიული ლექსიკის მონაცვლეობა.
- კომბინაციაში რამდენიმე სახის სავარჯიშოს არსებობა.

ძელთან ვარჯიშის დავალების შედგენა შესწავლილი მასალის შესაბამისად რეკომენდებულია 8-16 ტაქტში.

## ვარჯიში დარბაზის შუაში

დარბაზის შუაში ვარჯიშს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართული ხალხური ცეკვის მთელი გაკვეთილის აგებულებაში. ის გარდამავალი საფეხურია და სტუდენტებს ამზადებს გაკვეთილის მესამე — მთავარი ნაწილისათვის.

თუ ძელთან სრულდება ძირითადი სახის ვარჯიშები, ამა თუ იმ ელემენტზე აგებული სასწავლო და საცეკვაო კომბინაციები, დარბაზის შუაში ვარჯიშისას შეისწავლება საქართველოს სხვადასხვა კუთხის ცეკვის ლექსიკური მასალა.

ვარჯიში დარბაზის შუაში პირობითად იყოფა ოთხ ნაწილად, რომლის თანმიმდევრობის შეცვლა მიზანშეუწონელია — უსათუოდ დაარღვევს გაკვეთილის ნაწილის აგების ლოგიკას.

გამოიყოფა ცენტრში ვარჯიშის სხვა ნაწილებიც:

- ზეტანის ვარჯიში.
- ქართული ხალხური ცეკვის (კუთხეების მიხედვით) ძირითადი ელემენტების შესწავლა,
- ბრუნვის ტექნიკა.
- სატრიუკო ტექნიკა.

- **ზეტანის ვარჯიში**

ეს ნაწილი გარდამავალია ძელიდან დარბაზის შუაში ვარჯიშამდე და ეხმარება სუნთქვის, გამძლეობის, კუნთების ტონუსის გამომუშავებას და ა.შ.

- **ეროვნული ლექსიკური მასალის ათვისება**

ამ ნაწილის მიზანია ქართული ცეკვის ძირითადი ელემენტების შესწავლა, ხალხური საცეკვაო ლექსიკის გამოყენებით კომბინირების ხერხის, სასწავლო და საცეკვავო ილეთების შედგენის მეთოდის ათვისება. მეორე ნაწილი ქართული ხალხური ცეკვის გაკვეთილის მესამე ნაწილის მოსამზადებელია და მოიცავს ამა თუ იმ ეროვნული ცეკვის სხვადასხვა ძირითად მოძრაობასა და საცეკვაო კომბინაციას, რომლებიც შემდეგში შეიძლება განვითარდეს კომპოზიციურად და გარდაიქმნას ეტიუდად.

- **ბრუნვის ტექნიკა**

ამ ნაწილის ძირითადი მიზანია ბრუნვითი სავარჯიშოების ტექნიკური დონის ამაღლება, მათი შერწყმის ხერხებისა და მეთოდების შესწავლა.

- **სატრიუკო ტექნიკა**

სატრიუკო ტექნიკა ცენტრში ვარჯიშის კულმინაციური ნაწილია და მისი მთავარი მიზანია აკრობატული ელემენტების გამოყენებით შემსრულებელთა ინდივიდუალური ტექნიკის ამაღლება.

## საეტიუდო მუშაობა

საეტიუდო მუშაობა – ქართული ხალხური ცეკვის გაკვეთილის მესამე დასკვნითი ნაწილი – მოითხოვს ეგზერსისის პროცესში ძელთან და ცენტრში მიღებული ყველა უნარ-ჩვევისა და ცოდნის გამოყენებას. ეროვნული ცეკვების ადრე შესწავლილი ელემენტები განახლდება სასწავლო და საცეკვაო კომბინაციებში, რომლებიც თავის მხრივ გაერთიანებულია სასწავლო ან ვრცელ ეტიუდებში. სწორედ ეს ნაწილია გაკვეთილის კულმინაცია – ეროვნული ცეკვის მთელი კოლორიტისა და სპეციფიკის მომცველი.

საეტიუდო მუშაობა იწყება ნელ, ზომიერ ტემპთან მიახლოებით. ზომიერი ტემპიდან გაკვეთილის წინა ნაწილი (ვარჯიში დარბაზის შუაში) უნდა დამთავრდეს შემსრულებელთა ძლიერი ფიზიკური დატვირთვის ზღვარზე.

საეტიუდო მუშაობა (შეძლებისდაგვარად) უნდა მოიცავდეს ვაჟთა, ქალთა და წყვილთა ცეკვების საფუძველზე აგებულ ეტიუდებს ხალხური ცეკვის ყველა ფორმის გამოყენებით.

ქართულ ხალხურ ცეკვაში ეტიუდი იყოფა სასწავლო და გაშლილ – ვრცელ ეტიუდებად.

სასწავლო ეტიუდი – ეროვნული ელემენტების შერწყმის ხერხებისა და მეთოდების ათვისების ერთ-ერთი ძირითადი სასწავლო ფორმა – მოიცავს ლოგიკურად დალაგებულ რამდენიმე სასწავლო კომბინაციას.

გაშლილი ეტიუდი – ერთ-ერთი ძირითადი სასწავლო ფორმა საცეკვაო მოძრაობისა, ცეკვის ნახაზის შერწყმის მეთოდებისა და ხერხების ათვისებისა – აერთიანებს ლოგიკურად დალაგებულ რამდენიმე საცეკვაო კომბინაციას, რომელთაც არ გააჩნია სიუჟეტური ხაზი.

გაკვეთილის მესამე ნაწილში იდგმება ეტიუდი:

- ეტიუდი ერთი შემსრულებლისათვის (სოლო).
- ეტიუდი ორი შემსრულებლისათვის (დუეტი).
- ეტიუდი მცირე ჯგუფისათვის (სამი-ექვსი შემსრულებელი).
- ჯგუფური (მასობრივი) ეტიუდი.

## სვლა, სირბილი
(სიარული)

სვლა, როგორც სივრცეში გადანაცვლება.

## ნაბიჯის ფაზები

1. უკანა დაყრდნობის ფაზა.
2. ორმაგი დაყრდნობის ფაზა.
3. ვერტიკალის მდგომარეობა.
4. წინა ნაბიჯის ფაზა.
5. ორმაგი დაყრდნობის ფაზა. ნაბიჯი: წინ, უკან, გვერდზე, ჭდობილად.

## ნაბიჯით სვლა

1. ა) ჩვეულებრივი, ბ) მთლიან ტერფზე, გ) ერგცერებზე, დ) წინა ტერფიდან მთელ ტერფზე, ე) ქუსლიდან მთლიან ტერფზე, ვ) ქუსლებზე, ზ) ქუსლიდან ერგცერებზე.
2. ძუნძულით (სირბილისებრი).
3. ფეხის ფეხზე მირტყმით სვლა (წინ ან გვერდზე) ფეხის (მთელი ტერფის ან ქუსლის) იატაკზე გავლებით.
4. სრიალით.
5. გვერდითი (შემსრულებელი სახით წინ მიმართული).
6. ადგილზე (სხეულის სიმძიმის გადატანა ერთი ფეხიდან მეორეზე).
7. მუხლმოხრით (მენჯ-ბარძაყის სახსარში ფეხის მოხრა $90^0$-ით).
8. ზეხტომით (ცალი ფეხის მოხრით).
9. კინკილით (ცალ ფეხზე ხტომით).

ჩვეულებრივი სვლა სრულდება ნელი და საშუალო ტემპით. ტემპის აჩქარებით ჩვეულებრივი სვლა სირბილში გადაიზრდება.

## სირბილის სახეობა

1. ძუნძულით (სირბილისებრი).
2. უკან მოხრილი ფეხით.

3. წინ მოხრილი ფეხით.

4. წინ გამართული ფეხით.

სირბილის აქტში არჩევენ ორ ფაზას: ერთმაგი დაყრდნობის და ფრენის; სიარულისას ორმაგი დაყრდნობა სირბილისას იცვლება ფრენის ფაზით.

## მოძრაობის შესწავლის მეთოდიკა

მოძრაობის დანიშნულება; მოძრაობის ხასიათი; მოძრაობის შესწავლის ძირითადი ეტაპები; მოძრაობის ჩვენება; მოძრაობის შესრულების სისწორე; ტიპობრივი შეცდომები მოძრაობის შესრულებისას და მათი პროფილაქტიკა; ცალკეული მოძრაობის შერწყმა; მოძრაობათა კომბინირება.

## ქართული ცეკვის ძირითადი ელემენტები და ცნებები
## ფეხის ძირითადი მდგომარეობა – პოზიცია

თავისუფალი პოზიციები

**I. პირველი თავისუფალი პოზიცია** – ფეხები თავისუფლად, ქუსლები შემჭიდროებული, წინა ტერფები თანაბრად – სიმეტრიულად, უმნიშვნელოდ განზე გახსნილი (სურ.1).

**II. მეორე თავისუფალი პოზიცია** – ფეხები თავისუფლად – ერთი ტერფის დაშორებით, ქუსლები ერთმანეთისაკენ მიმართული, წინა ტერფები თანაბრად გვერდზე გახსნილი (სურ.1).



პირველი მეორე მესამე მეოთხე მეხუთე (დამატებითი)

სურ. 1. თავისუფალი (ღია) პოზიციები

**III. მესამე თავისუფალი პოზიცია** – ერთი ფეხის ქუსლის მჭიდროდ მიკვრა მეორის შუა ტერფთან, წინა ტერფები გარეთ მიმართული. ამ პოზიციაში ხან ერთი ფეხია წინ, ხან – მეორე (სურ.1).

**IV. მეოთხე თავისუფალი პოზიცია** – ერთი ფეხი მეორის წინ, ერთის ქუსლი მეორის წინა ტერფის საპირისპიროდ, ფეხის წვერები თანაბრად განზე გაშლილი. ამ პოზიციაში წინ ხან მარჯვენა ფეხია, ხან – მარცხენა (სურ.1).

**V. მეხუთე თავისუფალი (დამატებითი) პოზიცია** – ფეხები სწორ ხაზზე ერთმანეთის წინ, ერთი ფეხის ქუსლი ეხება მეორის წინა ტერფს. ამ პოზიციაში წინ ხან მარჯვენა ფეხია, ხან – მარცხენა (სურ.1).[1]

ფეხის პირდაპირი პოზიციები

**პირველი პირდაპირი პოზიცია** – ორივე ფეხი გვერდიგვერდ პარალელურად დადგმული და ტერფის შიდა მხარეებით ერთმანეთს მჭიდროდ მიკრული. წინა ტერფები – პირდაპირ მიმართული (სურ. 2).

**მეორე პირდაპირი პოზიცია** – ორივე ფეხი ერთი ტერფის დაშორებით ერთმანეთის პარალელულად დადგმული. წინა ტერფები – პირდაპირ მიმართული (სურ. 2).

**მესამე პირდაპირი პოზიცია** – ორივე ფეხი ერთმანეთის პარალელურად დადგმული და ტერფის შიდა მხარეებით ერთმანეთს მიკრული. ერთი ფეხის ქუსლი მეორის ტერფის შუაში. ამ პოზიციაში ხან ერთი ფეხია წინ, ხან – მეორე (სურ. 2).

**მეოთხე პირდაპირი პოზიცია** – ერთი ფეხი მეორის წინ პარალელურ ხაზზე ერთი ტერფის დაშორებით დადგმული. წინა ტერფები – პირდაპირ მიმართული. ამ პოზიციაში ხან ერთი ფეხია წინ, ხან – მეორე (სურ. 2).



პირველი მეორე მესამე მეოთხე მეხუთე

სურ. 2. პირდაპირი (პარალელური) პოზიციები

**მეხუთე პირდაპირი პოზიცია** – ორივე ფეხი ერთ პარალელურ ხაზზე ერთმანეთის წინ დადგმული. ერთი ფეხის ქუსლის მეორის

[1] შენიშვნა: V თავისუფალი (დამატებითი) პოზიცია ნაკლებად ახასიათებს ქართულ ხალხურ ცეკვას.

წინა ტერფთან შეხება. ტერფები – პირდაპირ მიმართული. ამ პოზიციაში ხან ერთი ფეხია წინ, ხან – მეორე (სურ. 2).

სხვადასხვა მოძრაობისას ფეხის პოზიცია და მისი კომბინაცია მრავალგვარია – განსხვავებული და განუმეორებლი. ჩვენ ამათგან გამოვარჩევთ ისეთ მდგომარეობას, რომლითაც იწყება ან მთავრდება ესა თუ ის მოძრაობა. ქართულ ხალხურ ცეკვაში გამოვყოფთ ხუთ ასეთ ძირითად თავისუფალ პოზიცია-მდგომარეობას.

ცეკვაში ფეხის პოზიციას ტერფების მდგომარეობა განსაზღვრავს. ფეხის პოზიციის საწყის მდგომარეობაში ჩვენება განაპირობებს ნაბიჯისა და მოძრაობის შესრულების ხასიათს. ხუთივე ძირითად პოზიციაში ფეხები თავისუფლადაა დადგმული, ტერფები შესაბამისად მიმართულია ღია და პირდაპირ პოზიციათა შორის.

ქართულ ხალხურ სასცენო ცეკვაში შესაძლებელია როგორც ხუთი თავისუფალი, ასევე ხუთი პირდაპირი – პარალელური პოზიცია.

**თავისუფალი პოზიცია**

I – თავისუფალი ძირითადი პოზიცია.
II – თავისუფალი ძირითადი პოზიცია.
III – თავისუფალი ძირითადი პოზიცია.
IV – თავისუფალი ძირითადი პოზიცია.

**პირდაპირი – პარალელური პოზიცია**

I – პირდაპირი – პარალელური პოზიცია.
II – პირდაპირი – პარალელური პოზიცია.
III – პირდაპირი – პარალელური პოზიცია.
IV – პირდაპირი – პარალელური პოზიცია.
V – პირდაპირი – პარალელური პოზიცია[1]

ხუთივე პირდაპირ – პარალელურ პოზიციაში ფეხის ტერფები პარალელურადაა და წინა ტერფები მიმართულია პირდაპირ.

ხუთივე თავისუფალ და პირდაპირ პოზიციაში სხეულის სიმძიმე <u>ორივე ფეხზე</u> თანაბრადაა განაწილებული. შეიძლება სიმძიმის

[1] შენიშვნა: ქართულ ხალხურ ცეკვაში ფეხის დახურული (ტერფები შიგნით) მიმართულება მდგომარეობაა და არა პოზიცია.

მარჯვენა ან მარცხენა ფეხზე გადატანა. ფეხები მუხლებში გამართულია. ტერფები იატაკს მთელი სიბრტყით ეხება, შეიძლება ერგცერებზე ან ქუსლებზე დგომაც.

ქალისა და ვაჟის ფეხის პოზიციები ერთნაირია.

ქართულ ხალხურ სასცენო ცეკვაში გამოიყენება კლასიკური ცეკვის ფეხის ღია – გადაშლილი – პოზიცია, ოღონდ ცოტა სხვაგვარი შესრულებით – ნაკლებ განბრუნებულ და გაშლილ მდგომარეობაში.

## ხელის ძირითადი მდგომარეობა-პოზიცია

ქართულ ხალხურ ცეკვაში, ნებისმიერი ეროვნული ცეკვის დარად, ხელის მოძრაობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ხელით გადმოიცემა ეროვნული კოლორიტი, მანერა, ხასიათი და სხვ. ქართულ ხალხურ სასცენო ცეკვაში მრავალი პოზიცია და ხელის მდგომარეობაა. ნაშრომში წარმოდგენილია ქართული ეროვნული ცეკვისთვის დამახასიათებელი შედარებით უფრო გავრცელებული ხელის ძირითადი პოზიცია და მდგომარეობა. ქორეოგრაფიულ ლიტერატურულ წყაროებში გვხვდება განსხვავებული რაოდენობის ხელის პოზიცია და მდგომარეობა. წინამდებარე სახელმძღვანელოში მოცემულია ხელის სამი ძირითადი პოზიცია, ერთი მოსამზადებელი და ქართულ ცეკვაში ხშირად გამოყენებული სხვადასხვა მდგომარეობა.

## ხელის პოზიციები

**მოსამზადებელი მდგომარეობა** – ორივე ხელი თავისუფლად დაშვებული ტანის გასწვრივ – ოდნავ მოცილებული. მტევნები გამართული და ზურგით წინ მიმართული (სურ. 3).

**I პოზიცია** – ორივე ხელი წინ გაწეული დიაფრაგმის გასწვრივ, ხელები გამართული, უმნიშვნელოდ გვერდზე გაშლილი, იდაყვები თავისუფლად, ხელის მტევნები ჩვეულებრივად – ნები ზევით, თითები გამართული და ერთმანეთთან შეერთებული (სურ. 3).

**II პოზიცია** – ორივე ხელი მხარის სიმაღლეზე განზე ფართოდ გაშლილი, იდაყვები თავისუფლად, ხელის მტევნები ჩვეულებრივად – ნები ზევით და ოდნავ წინ, თითები გამართული (სურ. 3).

**III პოზიცია** – ორივე ხელი თავს ზევით აწეული, იდაყვებში ოდნავ მოხრილი, ხელის მტევნები გამართული, ნები შიგნით, თითები თავისუფლად (სურ. 3).




სურ. 3. ხელის პოზიციები

ქალის ხელის მტევანი გამართული, შედარებით თავისუფალი, რბილი და დაუძაბავი, ვაჟის – გამართული, თითები შეერთებული, ხელი შედარებით დაძაბული.

იდაყვისა და ხელის მტევნის სხვადასხვა მდგომარეობა მოსამზადებელ და სამ ძირითად პოზიციაში მოძრაობას გარკვეულ ელფერს სძენს.

ყველა ძირითადი პოზიცია-მდგომარეობა ვაჟისა და ქალისათვის ერთნაირია. ქალის ხელის მტევნები, ვაჟისაგან განსხვავებით, ნაზია.

ფეხისა და ხელის ძირითადი მდგომარეობა-პოზიციის შესწავლის შემდეგ, შედგება ფეხისა და ხელის პოზიციების ცვლაზე (კომბინაციაზე) აგებული ნაერთები.

**შენიშვნა**: ორივე ხელის ოთხი ძირითადი მდგომარეობა ქმნის ხელის შემდეგ პოზიციებს:

საწყისი პოზიცია – ხელები ქვევით.
პირველი პოზიცია – ხელები წინ.
მეორე პოზიცია – ხელები გვერდზე.
მესამე პოზიცია – ხელები ზევით.

ხელის მდგომარეობა უკან იშვიათია და პოზიციად არ მიიჩნევა.

ხელის მდგომარეობა, პოზიციისაგან განსხვავებით, სხვადასხვაგვარია და, შესაბამისად, მრავალფეროვანი.

ქართული ცეკვის ხასიათის მიხედვით, ხელის მდგომარეობა შეიძლება იყოს: მარტივი, რთული და კომბინირებული.

მარტივი – ხელები სიმეტრიულად – ორივე ხელი ერთნაირ მდგომარეობაში.

რთული – ორივე ხელი სხვადასხვა მდგომარეობაში.

კომბინირებული – ერთი ხელი ერთ რომელიმე ძირითად პოზიციაში, მეორე – სხვა ძირითად პოზიციაში ან რომელიმე მარტივ მდგომარეობაში.

ხელის რთული და კომბინირებული მდგომარეობა ორი მიმართულებისაა: მარჯვნივ და მარცხნივ. ხელის გადატანა რომელიმე მდგომარეობაში, – მარჯვნიდან მარცხნივ ან პირიქით, – ნიშნავს: ხელები იცვლება მიმართულების მიხედვით.[1]

## ხელის ძირითადი მდგომარეობა

(მარტივი, რთული, კომბინირებული)

**(ვაჟი)**

1. ორივე ხელი წელზე შემოდებული, იდაყვები განზე გაწეული, ხელის მტევნები გაშლილი ცერა და საჩვენებელი თითებით – ციდებით სხეულს მჭიდროდ მიკრული, დოინჯი.

2. იდაყვის სახსარში მოხრილი მარჯვენა ხელი ოდნავ აწეული, ხელის მტევანი თავისუფლად მარცხენა მკერდზე, ნები შიგნით მიმართული. მარცხენა ხელი თავისუფლად დაშვებული, ხელის მტევანი ჩვეულებრივად, ნები – შიგნით.

3. ერთი ხელით დოინჯი, მეორე – ზევით აწეული, იდაყვში ოდნავ მოხრილი, ხელის მტევანი გამართული, ნები შიგნით მიმართული, თითები თავისუფლად.

4. ერთი ხელით დოინჯი. მეორე – დაშვებული, ხელის მტევანი თავისუფლად, ნები შიგნით მიმართული, თითები ჩვეულებრივად.

5. ორივე ხელი იდაყვის სახსარში მოხრილი და განზე გაწეული, ხელის მტევნები გამართული, ნები წინ და ოდნავ ზევით, თითები კეფაზე.

6. ერთი ხელი იდაყვის სახსარში მოხრილი, იდაყვი წინ გატანილი, წინა მხარი შეუხებლად მკერდის წინ ჰორიზონტალურ მდგომარეობაში, ხელის მტევანი გამართული, ნები ქვევით, თითები

[1] ქართულ ხალხურ სასცენო ცეკვებში, ტერმინოლოგიის შესაბამისად, ფეხისა და ხელის შემოთავაზებული პოზიციები დადგენილია 2016 წელს უჩა დვალიშვილის მიერ.

თავისუფლად. მეორე ხელი იდაყვის სახსარში მოხრილი, იდაყვი გვერდზე და ოდნავ უკან გაწეული, ხელის მტევანი ჩვეულებრივად ზურგს უკან წელის სიმაღლეზე ტანს შეუხებლად, ნები უკან, თითები თავისუფლად.

7. ერთი ხელი იდაყვის სახსარში მოხრილი, იდაყვი განზე გაწეული, ხელის მტევანი მომუჭული და უკან ზურგით წელს შეხებული. მეორე ხელი მხრის სიმაღლის ოდნავ ქვევით განზე გაშლილი, ხელის მტევანი მომუჭული და ზურგით წინ მიმართული.

8. ორივე ხელი ზევით აწეული, იდაყვებში ოდნავ მოხრილი, ხელის მტევნები გამართული, ნები შიგნით, თითები თავისუფლად.

9. ხანჯალზე ხელის მდგომარეობა: ა) მარჯვენა ხელი ხანჯლის ტარზე, მეორით – დოინჯი; ბ) ორივე ხელი ხანჯლის ტარზე;

გ) მარჯვენა ხელი ხანჯლის ტარზე, მარცხენა ხანჯალს ჩავლებული.

10. ხელის ცერები ქამარში.

**შენიშვნა:** ხელის მდგომარეობა იცვლება მოთხოვნის შესაბამისად, მარჯვნიდან მარცხნივ ან პირიქით; აქ განხილული მდგომარეობა ძირითადია და ხშირად გამოიყენება; პედაგოგმა ხელის მდგომარეობა სხვადასხვა ცეკვიდან უნდა აიღოს.

**(ქალი)**

1. ორივე ხელი წელზე შემოდებული, იდაყვები განზე გაწეული, ხელის მტევნები გაშლილი ცერა და საჩვენებელი თითებით – ციდებით სხეულს მჭიდროდ მიკრული, დოინჯი.

2. ორივე ხელი გამართული, საწყისი მდგომარეობიდან ოდნავ გვერდზე და უკან გატანილი, ხელის მტევნები ჩვეულებრივად, ნები წინ მიმართული (დასაშვებია ნები უკან), თითები თავისუფლად.

3. ორივე ხელი იდაყვის სახსარში მოხრილი და განზე გაწეული, ნები წინ და ოდნავ ზევით მიმართული, ხელის მტევნები გამართული, თითები კეფაზე.

4. ერთი ხელი მხარის სიმაღლეზე ოდნავ მაღლა, განზე გაწეული და წინ მიმართული, იდაყვისა და მაჯის სახსარში ოდნავ მოხრილი, ნები ქვევით, ხელის მტევანი თავისუფლად, თითები ჩვეულებრივად გამართული, ცერი და შუა თითი ერთმანეთთან მიახლოებული. მეორე ხელი მხარის სიმაღლეზე ოდნავ დაბლა, განზე გაწეული და უკან

მიმართული, იდაყვის სახსარში ოდნავ მოხრილი, ხელის მტევანი ჩვეულებრივად, ნები ქვევით, თითები თავისუფლად გამართული, ცერი და შუა თითი ერთმანეთთან მიახლოებული.

5. ერთი ხელი იდაყვის სახსარშია მოხრილი და განზე გაწეული, ნები წინ და ოდნავ ზევით მიმართული, ხელის მტევანი თავისუფლად, თითები კეფაზე. მეორე ხელით დოინჯი, ზეტანი აწეული და ხელის მხარეს შებრუნებული.

6. ერთი ხელი იდაყვის სახსარში მოხრილი, იდაყვი წინ გატანილი, წინა მხარი შეუხებლად მკერდის წინ ჰორიზონტალურ მდგომარეობაში, ხელის მტევანი გამართული, ნები ქვევით, თითები თავისუფლად. მეორე ხელი იდაყვის სახსარში მოხრილი, იდაყვი გვერდზე და ოდნავ უკან გაწეული, ხელის მტევანი შეუხებლად ჩვეულებრივად ზურგს უკან წელის სიმაღლეზე, ნები უკან მიმართული, თითები თავისუფლად.

7. ერთი ხელი იდაყვის სახსარში მოხრილი, იდაყვი წინ გატანილი, წინა მხარი შეუხებლად მკერდის წინ დახრილ მდგომარეობაში, ხელის მტევანი ჩვეულებრივად, ნები მკერდისკენ მიმართული, თითები თავისუფლად. მეორე ხელი გამართული და საწყისი მდგომარეობიდან გვერდზე და ოდნავ უკან გატანილი, ხელის მტევანი თავისუფლად, ნები – შიგნით, თითები ჩვეულებრივად.

## თავის ძირითადი მდგომარეობა და მოძრაობა

1. საწყისი მდგომარეობა, თავი ჩვეულებრივად, სახით წინ.
2. თავი წინ დახრილი ან უკან გადაწეული.
3. თავი მარჯვნივ ან მარცხნივ შებრუნებული.
4. თავი მარჯვნივ შებრუნებული და დახრილი მარჯვენა მხარისკენ ან მარცხნივ შებრუნებული და დახრილი მარცხენისაკენ.
5. თავი მარჯვნივ ან მარცხნივ შებრუნებული და ზევით აწეული.
6. თავი ოდნავ მარჯვნივ შებრუნებული და რამდენადმე დახრილი მარჯვენა მხარისკენ ან ოდნავ შებრუნებული მარცხნივ და რამდენადმე დახრილი მარცხენისაკენ.

### ხელის მტევნის მდგომარეობა

- ნები წინ (ცერი გარეთ მიმართული).
- ნები უკან (ცერი შიგნით მიმართული).
- ნები გარეთ (ცერი უკან მიმართული).
- ნები შიგნით (ცერი წინ მიმართული).

არსებობს ხელის მტევნის სხვა მდგომარეობაც: თითები თავისუფლად, თითები გაშლილი, თითები მომუჭული.

### ხელის მტევნის მოძრაობა

ხელის მტევანი იხრება მაჯაში (სხივ-მაჯის სახსარში) და იღებს შემდეგ მდგომარეობას:

- მტევანი გადაზნექილი (ბოლომდე აწეული).
- მტევანი ოდნავ აწეული.
- მტევანი გამართული (წინა მხარის გაგრძელება).
- მტევანი დაშვებული (ოდნავ მოხრილი).
- მტევანი ძალიან დაშვებული (ძლიერ დახრილი).

### ხელის მტევნის ბრუნვითი მოძრაობა
(ხელსართავები)

**(ქალი)**

- მცირე.
- საშუალო.
- სრული.

ხელის მტევნის ბრუნვითი მოძრაობა სრულდება სხივ-მაჯის სახსარში გარეთ და შიგნით.[1]

## ხელის მოძრაობა მხარის სახსარში

ხელის აწევა (მაგ. საწყისი მდგომარეობიდან I, II, III და IV პოზიციაში, საწყისი მდგომარეობიდან ხელის წინ და მაღლა აწევით და ა.შ.).

[1] სამედიცინო ტერმინოლოგიით, ხელის მტევნის ისეთ მდგომარეობას, როცა ცერი მოქცეულია ტანისაკენ, ეწოდება პრონაცია, ხოლო, როცა ცერი მოქცეულია გარეთ, ხელის მტევანი სუპინაციის მდგომარეობაშია. ხელის მტევნის ბრუნვას სხივ-მაჯის სახსარში როტაცია ეწოდება.

ხელის გაშლა (ხელის წინ გაშვერილი მდგომარეობიდან განზე გატანა).
ხელის გატანა საწყისი მდგომარეობიდან I, II, III და IV პოზიციებში და ა.შ.
ხელის გატანა მარჯვნივ ან მარცხნივ.
ხელის გატანა უკან.
ხელის დაშვება.

## ხელის მოძრაობა იდაყვის სახსარში

ხელის იდაყვიდან აწევა ან დაშვება.
ხელის იდაყვიდან შებრუნება, ნების მიმართვა ხან ზევით, ხან – ქვევით.
ხელის იდაყვში მოხრა.
ხელის იდაყვში ოდნავ მოხრა.
ხელის იდაყვში მომრგვალება. ხელის იდაყვში გამართვა (გამართულია).
ხელის იდაყვში გაჭიმვა (გაჭიმულია).

## ხელის მოძრაობა მხარის, იდაყვისა და სხივ-მაჯის სახსარში

| | |
|---|---|
| 1. ერთსახსროვანი. | 1. ცალმხრივი. |
| 2. ორსახსროვანი. | 2. ნაირმხრივი. |
| 3. სამსახსროვანი. | 3. ერთდროული. |
| | 4. თანმიმდევრული |

## ხელის წრიული (ბრუნვითი) მოძრაობა[1]

ხელის წრიული მოძრაობა სრულდება:
1. მხარიდან (მხარის სახსრიდან).
2. იდაყვიდან (იდაყვის სახსრიდან).
3. სხივ-მაჯის სახსარში.

ხელის მტევანი სხივ-მაჯის სახსარში ბრუნავს ორი მამართულებით: შენკენ (შიგნით) და შენგან (გარეთ). მტევნის ბოლო

[1] ხელის ტრიალი მხარიდან და იდაყვიდან მოძრაობის საწყისად მიიჩნევა და სრულდება ზევით – მარჯვნივ, ზევით – მარცხნივ, ქვევით – მარჯვნივ, ქვევით – მარცხნივ.

მდგომარეობით განისაზღვრება ბრუნვის მიმართულება.

შენკენ – მტევნის ბრუნვა მთავრდება მდგომარეობის გამახვილებით, ნები მიმართულია შენკენ (შემსრულებლისკენ).

შენგან – მტევნის ბრუნვა მთავრდება მდგომარეობის გამახვილებით, ნები მიმართულია შენგან (შემსრულებლისგან).

## ზეტანის ძირითადი მოძრაობა

1. ზეტანის გადახრა წინ (წინზნექი) – ზეტანი იხრება წინ.
2. ზეტანის გადახრა უკან (უკუზნექი) – წელში გაზნექით ზეტანი იხრება უკან.
3. ზეტანის გადახრა გვერდზე (განზნექი) – ზეტანი იხრება განზე მარჯვნივ ან მარცხნივ. რომელ მხარესაც სრულდება ზნექი, დასახელებაც მისი შესატყვისია: მარჯვნივ ზნექი, მარცხნივ ზნექი.
4. ზეტანის ბრუნვა – ქვედა ტანი უძრავად, ზეტანი ბრუნდება მარჯვნივ ან მარცხნივ ვერტიკალური ღერძის გარშემო.
5. ზეტანის ტრიალი – ზნექიდან ზეტანი მოძრაობს მარჯვნიდან მარცხნივ, მარცხნიდან – მარჯვნივ და უბრუნდება საწყის მდგომარეობას. ზეტანი წინზნექიდან მოძრაობს მარცხნივ და უკუზნექით გადადის მარჯვნივ ზნექში და უბრუნდება საწყის მდგომარეობას ან პირიქით: წინზნექიდან ზეტანი მოძრაობს მარჯვნივ და უკუზნექით გადადის მარცხნივ ზნექში და უბრუნდება საწყის მდგომარეობას. მოძრაობა შეიძლება შესრულდეს საპირისპირო მიმართულებითაც.

## მოცეკვავეთა განლაგება და ხელის მდგომარეობა წყვილთა ცეკვაში

### (ქალ-ვაჟი)

1. მდგომარეობა – მოცეკვავეთა ერთმანეთის გვერდით დგომა (ვაჟი ქალისაგან მარცხენა მხარეს – ოდნავ უკან. დაუშვებელია ქალის ზურგს უკან ვაჟის დგომა). ქალის მარცხენა ხელი, მხარის სიმაღლეზე ოდნავ მაღლა, წინ და განზე გატანილი, იდაყვისა და მაჯის სახსარში რამდენადმე მოხრილი. ნები ქვევით, ხელის მტევანი თავისუფლად, თითები ჩვეულებრივად გამართული, ცერი და შუა თითი ერთმანეთთან მიახლოებული; მარჯვენა ხელი, მხარის სიმაღლეზე, განზე და ოდნავ უკან გაწეული, იდაყვის სახსარში

რამდენადმე მოხრილი, ხელის მტევანი ჩვეულებრივად, ნები ქვევით, თითები თავისუფლად გამართული, ცერი და შუა თითი ერთმანეთთან მიახლოებული, მზერა წინ – მარცხენა ხელისაკენ.

ვაჟის მარცხენა ხელი იდაყვის სახსარში მოხრილი, იდაყვი განზე გატანილი – მხარის სიმაღლეზე, წინა მხარი ჰორიზონტალურ მდგომარეობაში, ხელის მტევანი მკერდის წინ დაშვებული, ნები ქვევით, თითები თავისუფლად; მარჯვენა ხელი განზე გაშლილი ქალის მხრებს უკან, ხელის მტევანი ჩვეულებრივად, ნები ქვევით, თითები თავისუფლად, მზერა ქალის სახისაკენ.

2. მდგომარეობა – ქალი და ვაჟი დგანან ერთმანეთის გვერდით (ვაჟი ქალისაგან მარცხენა მხარეს – ოდნავ უკან). ორივეს ხელი III პოზიციაში: მარცხენა ხელი ზევით აწეული, მარჯვენა განზე გაშლილი. ქალის მზერა გაშლილი ხელისაკენ, ვაჟის – ქალისაკენ.

3. მდგომარეობა – ქალი დგას სახით საცეკვაო ხაზის მიმართულებით[1], ორივე ხელი გამართული – საწყისი მდგომარეობიდან ოდნავ განზე და უკან გატანილი, ხელის მტევანი ჩვეულებრივად, ნებით წინ (დასაშვებია ნებით უკან), თითები თავისუფლად, მზერა წინ მიმართული.

ვაჟი დგას ქალის წინ, ოდნავ მარცხნივ, ზურგით საცეკვაო ხაზისაკენ. მარჯვენა ხელი იდაყვის სახსარში მოხრილი, იდაყვი განზე გაწეული, ხელის მტევანი მომუჭული და მტევნის ზურგით წელს შეხებული; მარცხენა ხელი განზე გაშლილი – საწყისი მდგომარეობიდან აწეული. ხელის მტევანი მომუჭული და ზურგით წინ, მზერა ქალისაკენ მიმართული (1-ლი და მე-2 მდგომარეობა დამახასიათებელია ცეკვა *ქართულისათვის*, მე-3 – მოხეური და მთიულური ცეკვებისათვის).

## მოცეკვავეთა განლაგება და ხელის მდგომარეობა მასობრივ ცეკვაში

1. მდგომარეობა – ქალ-ვაჟთა წრიული განლაგება ცალ-ცალკე, ხელები ერთმანეთზე გადახვეული.[2]

2. მდგომარეობა – ქალთა და ვაჟთა ნახევარწრიულად ან

[1] საცეკვაო ხაზის მიმართულებად მიღებულია საათის ისრის საწინააღმდეგო მოძრაობა.

[2] ქართულ ცეკვაში ქალისა და ვაჟის ხელების გადახვევა დაუშვებელია.

სწორხაზოვნად განლაგება, ერთმანეთისაგან ოდნავ დაშორებით, ხელები ჩაკიდებული — დაშვებული ან აწეული.

3. მდგომარეობა — ქალთა და ვაჟთა მხარიმხარ წრეზე მჭიდროდ განლაგება — ხელკავი. დამახასიათებელია სვანური ცეკვებისათვის.

4. მდგომარეობა — ვაჟების მხარგვერდით მჭიდროდ განლაგება — ხელკავი.

5. მდგომარეობა — ვაჟები მწკრივში ერთმანეთის უკან. ხელები ჩაკიდებული — ერთი ან რამდენიმე მწკრივის, ერთი ან რამდენიმე რკალის, ერთი ან რამდენიმე წრის შექმნა.

6. მდგომარეობა — ვაჟების მხარგვერდით განლაგება ერთი ნაბიჯის დაშორებით. ხელები მხარის სიმაღლეზე აწეული და იდაყვის სახსარში მოხრილი, ხელის მტევნები შეერთებული.

## მისალმება

(თავის დაკვრა)[1]

ა) ჩვეულებრივი მისალმება ადგილზე.

ბ) ჩვეულებრივი მისალმება წინსვლით და უკან დაწევით.

გ) სადღესასწაულო-საწესჩვეულებო რიტუალური მისალმება.

**შენიშვნა**: ხელის მდგომარეობა და მოძრაობა ზეტანის მოძრაობას ჰარმონიულად ერწყმის.

თავის, ხელისა და ზეტანის მოძრაობა ყოველ პოზიციაში ნარნარი და შეთანხმებულია, დაუშვებელია მკვეთრ მოძრაობათა გამიზნულად, მოჩვენებითობისა და ეფექტისათვის შესრულება. გაზეპირებული ჟესტების მექანიკური გამეორება. მოძრაობა უნდა შესრულდეს ზუსტად, სადად და ბუნებრივად. ეს კი ხელს შეუწყობს,სამომავლოდ მოცეკვავემ შექმნას თავისუფალი შემოქმედებითი სცენური სახე.

გაკვეთილზე დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ხელის მოძრაობის სხვადასხვა კომბინაციას. კომბინაცია იგება ხელის, მხარისა და იდაყვის სხივ-მაჯის სახსარში კოორდინირებულ მოძრაობაზე.

ხელის მტევნის ბრუნვითი მოძრაობით ხელი გადაიტანება სხვადასხვა პოზიციასა და მდგომარეობაში. ხელების ერთდროული დანაირდროული დაქნევითი მოძრაობა სხვადასხვა განზომილებაში,

[1] გარჩეულია სასწავლო და სასცენო მისალმებათა ფორმები. სასწავლო მისალმებისას მოსწავლე პატივისცემას,სიყვარულსა და მადლიერებას გამოხატავს მასწავლებლისა და კონცერტმაისტერის მიმართ, სასცენო მისალმებაში — მაყურებლისადმი — ყურადღების, მხარდაჭერის, ტაშისა და წარმატების სიხარულისათვის.

– ჰორიზონტალურ სიბრტყეში თუ შიდა და გარე წრეების მიმართულებით, – მტევნის პლასტიკური მოძრაობით სრულდება. ასევე ამ ნაერთში შეიძლება ფეხის, ზეტანისა და თავის მდგომარეობისა და მოძრაობის გამოყენება.

ქართული ხალხური ცეკვის ძირითადი ელემენტების შესწავლასთან ერთად, შესრულების მანერის, ხასიათისა და განწყობის გამოვლენა-გამოხატვის მიზნით, საცეკვაო კოორდინაციისათვის სტუდენტები ასრულებენ ფეხის, ხელის, ტანისა და თავის ურთიერთშეთანხმებულ მოძრაობათა სავარჯიშოებს.

სტუდენტთა ინდივიდუალური იმპროვიზაციული ჩვევების გასავითარებლად აუცილებელია:

ა) ნასწავლი ელემენტების შეერთება მარტივ საცეკვაო კომბინაციებად; ბ) ცალკეული ძირითადი საცეკვაო ელემენტის განვითარება თანდათანობითი გართულებისა და რიტმული მრავალფეროვნების მიხედვით, სხვა ელემენტებთან შეუერთებლად.

## ქართული

### თეორია და მეთოდიკა

*ლეკურისა* და *ქართულის* სახელწოდების შესახებ.

ლიტერატურული მასალები, საისტორიო წყაროები.

წერილები და გამოკვლევები *ქართულის* შესახებ.

სიუჟეტი, კომპოზიცია, თემა, იდეა.

ფორმა და შინაარსი.

შესრულების ტრადიციული წესები.

*ქართული* ყოფაში.

ძირითადი მდგომარეობა და მოძრაობა. ტერმინოლოგია.

კოსტიუმი.

ცეკვა *ქართულის* ტრადიციული ხალხური მელოდიები და მისი მუსიკალური შინაარსი.

*ქართული* ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედებაში.

*ქართულის* ასახვა ხელოვნებაში (სახვითი ხელოვნება, თეატრი, ბალეტი, ოპერა, მუსიკალური სპექტაკლი, კინო, მხატვრული ლიტერატურა).

დამდგმელი ქორეოგრაფები.

გამოჩენილი შემსრულებლები.

ქართველები და უცხოელები ცეკვა *ქართულის* შესახებ.

## ძირითადი ელემენტები

**I. ფეხისა და ხელის ძირითადი პოზიციები**

**(ქალი, ვაჟი)**

1. ფეხის ძირითადი პოზიციები (ფეხის ოთხი ძირითადი პოზიცია).

2. ხელის ძირითადი პოზიციები (ხელის სამი ძირითადი პოზიცია).

**II. ხელის ძირითადი მდგომარეობა და მოძრაობა**

**(ქალი, ვაჟი)**

ხელის მდგომარეობა.

ხელის მდგომარეობის ცვლა.

ხელის მტევნის მოძრაობა (ქალი).

ხელის მდგომარეობა და მოძრაობა სვლისას.

**III. თავის, მხრების, ტანის მდგომარეობა და მოძრაობა**

**IV. ფეხის ძირითადი მდგომარეობა და მოძრაობა**

**V. სვლა**

**ა) წინსვლა**

სადა სრიალა.

ტერფული.

რთულა.

სრიალა ერგცერებზე.

სადა მუხლური.

**ბ) უკუსვლა**

სამდაკვრითი.

**გ) გვერდზე სვლა**

სამდაკვრითი (გედურა).

**დ) ადგილზე სვლა**

სამდაკვრითი.

**VI. გასმა**

სადა.

სადა ერგცერებზე.

ქუსლურა.

ფეხმოქნევით (ტერფმოქნევით გასმა, გაქნევ-გასმა, კანკალური გასმა).

ჩაკრული.

ჭდობილი.
სარული.
ნაკვთური (ყოვნითი).
მაღალი.
მაღალჩაკრული.
სარეცხული.
კომბინირებული.

**VII. ბრუნვა**

ადგილზე.
სამდაკვრითი ადგილზე.
ცალ ფეხზე.
დახვევით.

ცეკვა *ქართულისათვის* განსაკუთრებულად დამახასიათებელია ქალისა და ვაჟის მოძრაობის მოხდენილად, თავმომწონედ (ყინჩად) შესრულება.

## დავლური

### თეორია და მეთოდიკა

*დავლურის* სახელწოდების შესახებ.
*დავლურისა* და *ქართულის* ურთიერთმიმართება.
ლიტერატურული მასალები, საისტორიო წყაროები.
ნაშრომები და გამოკვლევები *დავლურის* შესახებ.
სიუჟეტი, კომპოზიცია, თემა, იდეა.
ფორმა და შინაარსი.
შესრულების ტრადიციული წესები.
კოსტიუმი.
ძირითადი მდგომარეობა და მოძრაობა.
ტერმინოლოგია.
*დავლურის* მელოდიები სამუსიკო ფოლკლორსა და ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედებაში.
დამდგმელი ქორეოგრაფები.
*დავლური* მხატვრულ ლიტერატურაში.

## ძირითადი ელემენტები

**(ქალი, ვაჟი)**

**I. ხელის ძირითადი მდგომარეობა და მოძრაობა**

ხელის მდგომარეობა.

ხელის მდგომარეობის ცვლა.

ხელის მტევნის მოძრაობა (ქალი).

ხელის მდგომარეობა და მოძრაობა სვლისას.

*დავლურში ქართულის* ხელის ყველა მდგომარეობა და მოძრაობა გამოიყენება.

**II. თავის, მხრების, ტანის მდგომარეობა და მოძრაობა**

**III. ფეხის ძირითადი მდგომარეობა და მოძრაობა**

**IV. სვლა**

ჩვეულებრივი.

ორნაბიჯიანი (სვლა ორი ნაბიჯის დამატებით).

სამნაბიჯიანი (სვლა სამი ნაბიჯის დამატებით).

ოთხნაბიჯიანი სრიალა სვლა ერგცერებზე (სრიალა სვლა ერგცერებზე ოთხი ნაბიჯის დამატებით – ქალი).

ოთხნაბიჯიანი რთულა წინსვლა (რთულა წინსვლა ოთხი ნაბიჯის დამატებით – ვაჟი).

სადა მუხლურა.

სადა მუხლურა ტერფული სვლით.

სადა მუხლურა რთულა სვლით.

დახვევით ბრუნვა.

*დავლურში ქართულისათვის* დამახასიათებელი ყველა სვლა გამოიყენება.

**V. გასმა**

*დავლურში* ცეკვა *ქართულის* ყველა გასმა გამოიყენება.

# სამაია

## თეორია და მეთოდიკა

*სამაიას* სახელწოდების შესახებ.
ლიტერატურული მასალები, საისტორიო წყაროები.
წერილები და გამოკვლევები *სამაიას* შესახებ.
სიუჟეტი, კომპოზიცია, თემა, იდეა.
ფორმა და შინაარსი.
შესრულების ტრადიციული წესები.
კოსტიუმი.
ძირითადი მდგომარეობა და მოძრაობა. ტერმინოლოგია.
*სამაიას* ტრადიციული ხალხური მელოდიები და ცეკვის მუსიკალური შინაარსი.
*სამაია* ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედებაში.
*სამაიას* ასახვა ქართულ ხელოვნებაში (ხუროთმოძღვრება, სახვითი ხელოვნება, თეატრი, ბალეტი, ოპერა, მუსიკალური სპექტაკლი, კინო).
დამდგმელი ქორეოგრაფები.
*სამაია* მხატვრულ ლიტერატურაში.

## ძირითადი ელემენტები

**I. ხელის ძირითადი მდგომარეობა და მოძრაობა (ქალი)**

ხელის მდგომარეობა.
ხელის მდგომარეობის ცვლა.
ხელის მტევნის მოძრაობა.
ხელის მდგომარეობა და მოძრაობა სვლისას.

**II. თავის, მხრების, ტანის მდგომარეობა და მოძრაობა**

**III. ფეხის ძირითადი მდგომარეობა და მოძრაობა**

**IV. სვლა**

სამნაბიჯიანი სვლა: წინ, უკან (ნაზურა).
მიდგმული ტერფებით ქუსლცერშებრუნებითი გვერდზე სვლა (ქუსლცერმოქნევით გვერდზე სვლა).
ტერფებმიდგმული ქუსლცერშებრუნებითი გვერდზე სვლა.

**V. ბრუნვა**

ფეხმოქნევით.

*სამაიასათვის* დამახასიათებელია ხელების პლასტიკური მოძრაობის მრავალფეროვნება.

შესწავლილი ცეკვების – *ქართულის, დავლურისა* და *სამაიას* – საფუძველზე პედაგოგი ადგენს ილეთთა ნაერთებს, კომბინაციებს, ეტიუდებს, ფრაგმენტებსა და სრულ კომპოზიციას.

**ლიტერატურა:**


- ალავიძე, ოლეგ. (2016). *საუბრები ქორეოგრაფიაზე.* თბილისი.
- გვარამაძე, ლილი. (1957). *ქართული ხალხური ქორეოგრაფია.* (ძირითადი საკითხები). თბილისი: *ხელოვნება.*
- გვარამაძე, ლილი. (1997). *ქართული საცეკვაო ფოლკლორი.* თბილისი: გამომცემლობა *საქართველოს კულტურის სამინისტროს ხალხური შემოქმედებისა და კულტურის ცენტრი.*
- ზურაბიშვილი, ილია. (1936) *ლეკური.* ჟურნალი *საბჭოთა ხელოვნება,* № 3.
- ზურაბიშვილი, ილია. (1972). *თეატრალური პორტრეტები.* თბილისი: *ხელოვნება.*
- ზურაბიშვილი, ილია (1949). *ხალხის შემოქმედებითი გენია:* ლეკური, კახური მრავალჟამიერი, ურმული. (საქ. თეატრალური საზოგადოება). თბილისი: *ხელოვნება.*
- თათარაძე, ავთანდილ. (1956). ცეკვა *ქართული,* თბილისი: *საქმთავარპოლიგრაფმრეწვ.*
- თათარაძე, ავთანდილ (1974). *ქართული ხალხური ცეკვების მოკლე მიმოხილვა.* თბილისი: *საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტამბა.*
- თათარაძე, ავთანდილ (2010). *ქართული ხალხური ცეკვა.* თბილისი: *კოლორ-პრინტი.*
- თეიმურაზ II, (ნეფე) (1936). *სარკე თქმულთა.* თხზულებათა სრული კრებული. ქუთაისი: *ქუთაისის ღუბერნსკის სტ.*
- ისტორიებრი აღწერა თხზული საქართველოს მეფის ირაკლის ძის ვახტანგის მიერ. (1914). ტფილისი: *სარგის კაკაბაძე, (ბართლომე კილაძის სტამბა).*

- კახიანი, საულ. კახიანი, ზაალ. (1974). *პლასტიკური ანატომია.* თბილისი: *განათლება.*
- კოკელაძე, გრიგოლ. (1977). *ზოგი რამ ქართულ ცეკვაზე.* თბილისი: *ხელოვნება.*
- კოსვენი, მარკი. (1971). *პირველყოფილი კულტურის ისტორიის ნარკვევები,* თბილისი: *თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.*
- კოტეტიშვილი, ვახტანგ. (1961). *ხალხური პოეზია.* მეორე გამოცემა. თბილისი: *საბჭოთა მწერალი.*
- რუხაძე, ტრიფონ. (1949). *ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია.* თბილისი: *ხელოვნება.*
- სანებლიძე, თორნიკე (1975). *ტანვარჯიში.* თბილისი: *განათლება.*
- *ქართული ხალხური სიტყვიერება* (ქრესტომათია), შეადგინა, შესავალი წერილი, განმარტებები და შენიშვნები დაურთო ქსენია სიხარულიძემ, თბილისი: 1970. *თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.*
- ჩიქოვანი, მიხეილ. (1975). *ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, I, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.*
- ჭანიშვილი, რეზო (1997). *ფიქრები ქართულ ქორეოგრაფიაზე. თბილისი: თბილისის კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი.*
- ხიზანაშვილი, ნიკოლოზ. (ურბნელი, ნ.). (1940). *ეთნოგრაფიული ნაწერები,* XV, თბილისი: *სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა.*
- ჯავრიშვილი, დავით. (1951). ცეკვა *ქართული.* თბილისი: *სახელგამი.*
- ჯავრიშვილი, დავით. (1954). *თვითმოქმედი ქორეოგრაფიული წრის ორგანიზაციული, სასწავლო და მხატვრული მუშაობა საკლუბო დაწესებულებაში,* თბილისი: *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სტამბა.*
- საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი, ხელნაწერთა და საარქივო დოკუმენტთა აღწერილობა. წიგნი III. (2013). გიორგი კალანდიას საერთო რედაქციით. თბილისი: *საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი.*

- ჯავრიშვილი, დავით. (2017). *ქართული ხალხური ცეკვა. თბილისი:*
- ჯამბაკურ-ორბელიანი, ალექსანდრე. (1861). *ივერიანელების გალობა, სიმღერა და ღიღინი.* ცისკარი №1: თებერვალი.
- ჯანელიძე, დიმიტრი. (1948). *ქართული თეატრის ხალხური საწყისები.* თბილისი: *სახელგამი.*
- ჯანელიძე, დიმიტრი. (1990). *სახიობა.* თბ. *საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის სტამბა.*
- ჯგუშია, ნათია. (2010). *წინაპართა ნაკვალევზე,* ზუგდიდი: *ევრისის მაცნე.*
- Ваганова, Аграпина. (1980). Основы классического танца. Ленинград: Искусство.
- Климов, Андрей. (1981). Основы русского народного танца. Москва: Искусство.
- Ткаченко, Тамара. (1967). Народный танец. Москва: Искусство.

# II სემესტრი

## თეორია და მეთოდიკა

ცეკვა და სინკრეტიზმი. ცეკვა და პანტომიმა.

ფერხული, როგორც ქართული ხალხური ცეკვის უძველესი სახე.

ფერხულთა ჟანრული სახესხვაობანი და თავისებურებანი.

ფერხულთა სახეები თემატური შინაარსის (მონადირული, რელიგიურ-რიტუალური, საწესჩვეულებო, მეომრული, სატრფიალო, ყოფითი...) მიხედვით.

ფერხულთა შესრულების კუთხური თავისებურებანი.

ქართველ ქორეოგრაფთა მიერ სასცენოდ დამუშავებული და დადგმული ფერხულები.

საფერხულო ცეკვის დადგმის მეთოდური თავისებურებანი.

პრაქტიკულ მეცადინეობებზე პედაგოგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ქართული ცეკვის ძირითადი ელემენტების თანდათანობით ათვისებასა და თითოეული მოძრაობის სწავლების მეთოდიკას. მნიშვნელოვანი დრო ეთმობა ცეკვის ტექნიკის გამომუშავებას, ქალისა და ვაჟის ხელის მოძრაობას, შესრულების მანერას, ხასიათსა და კუთხურ თავისებურებებს, აგრეთვე, სხვა გამომსახველობით საშუალებებს. გრძელდება მუშაობა ფეხის, ხელის, ტანისა და თავის შედარებით რთულ, ჰარმონიულად შერწყმულ, კოორდინირებულ მოძრაობაზე.

პედაგოგი, კურსის მასალის შესაბამისად, გულისყურით უნდა მოეკიდოს საცეკვაო მოძრაობის შესწავლის ძირითად ეტაპებს, ცალკეული მოძრაობის ერთმანეთთან შერწყმასა და თანდათანობით გართულებულ მოძრაობათა შესრულებას.

სწავლების პროცესში დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ქართული საფერხულო ცეკვის ცნებათა და ტერმინთა შესწავლას; ძელთან და ცენტრში მოძრაობათა მართებულ შესრულებას; სტუდენტთა მიერ, შესწავლილი ორი-სამი მოძრაობის საფუძველზე, დამუშავებული ცეკვების ელემენტთა გამოყენებით, ძელთან და დარბაზის შუაში (8-დან 16 ტაქტამდე) მარტივ და შედარებით გართულებულ საცეკვაო კომბინაციათა შედგენას. ამასთან კომბინაციები უნდა აიგოს

თითოეული ძირითადი ელემენტის თანდათანობითი გართულებით და რიტმული მრავალფეროვნებით, სხვა ელემენტებთან შეუერთებლად.

პრაქტიკულ მეცადინეობაზე პედაგოგის ხელმძღვანელობით სტუდენტები შესწავლილი მასალის საფუძველზე ადგენენ სავარჯიშოებს და ვარჯიშობენ ძელთან და ცენტრში.

სტუდენტები ატარებენ გაკვეთილის ნაწილს თანაკურსელებთან.

# ფერხულები

## ფერხულთა კლასიფიკაცია

### I. შემსრულებელთა მიხედვით
### (ვაჟთა, ქალთა, ქალ-ვაჟთა — შერეული).

### II. ფორმის მიხედვით[1]

- წრიული.
- წრე წრეში ჩასმული — ორწრიული.
- წრისებრი ხელმოუხმელი, ერთიმეორის ზურგშექცევით მოძრავი.
- ფერხულს შიგნით მოთამაშით.
- ორ და სამსართულიანი.
- ერთ და ორრკალიანი ფერხულები.
- მწკრივების სახით — ხელმობმული, ორ და სამმწკრივიანი წყობა.
- რთული წყობის (ფერხულთა ყველა ნაირსახეობა).

### III. შინაარსის მიხედვით

- სამონადირო.
- ასტრალურ სხეულთა სათაყვანებელი.
- რელიგიურ-რიტუალური.
- საბრძოლო.
- პატრიოტული.
- საყოფაცხოვრებო.

[1] ფერხულთა ფორმები შეჯერებულია დიმიტრი ჯანელიძისა და ავთანდილ თათარაძის კლასიფიკაციათა მიხედვით.

## IV. მუსიკალურ-ქორეოგრაფიული სტრუქტურის მიხედვით

- ერთპირული.[1]
- ორპირული.
- სამპირული (პირველი სოლისტი, გუნდი და მეორე მოპასუხე-სოლისტი; სამი სხვადასხვა გუნდის მონაცვლეობით მღერა).
- რესპონსორული – კითხვა-მიგებითი: წრისშიგნითა მომღერალ-მოთამაშით (დამწყები, კორიფე).
- წრისშიგნითა პანტომიმური მოთამაშით.

## ხელის ძირითადი მდგომარეობა და მოძრაობა ფერხულში

**(ქალი, ვაჟი)**

- ხელჩაკიდებით, ხელები დაშვებული და ოდნავ განზე გაწეული.
- ხელჩაკიდებით, ხელები ზევით აწეული და ოდნავ განზე გატანილი;. ხელჩაკიდებით, ხელები გულმკერდის სიმაღლეზე წინ გატანილი.
- ერთი ხელი იდაყვის სახსარში მოხრილი, წინა მხარი გულმკერდის სიმაღლეზე ჰორიზონტალურ მდგომარეობაში, მტევანი გვერდზე მდგომის გამართულ მტევანზე ჩავლებული.
- ქალებისა და ვაჟების მხარგვერდით ხელკავით დგომა.

(**ქალი**)

- ხელჩაკიდებით, ხელები დაშვებული და ოდნავ განზე გაწეული.
- ხელჩაკიდებით, ხელები აწეული და ოდნავ განზე გატანილი.
- ხელჩაკიდებით, ხელები გულმკერდის სიმაღლეზე წინ გატანილი.
- ერთი ხელი იდაყვის სახსარში მოხრილი, წინა მხარი გულმკერდის სიმაღლეზე ჰორიზონტალურ მდგომარეობაში, ხელის მტევანი გვერდზე მდგომის გამართულ მტევანზე ჩავლებული.
- ხელები ერთმანეთის მხრებზე გადახვეული.

[1] მხოლოდ ქორეოგრაფიული სტრუქტურის მიხედვით.

(ვაჟი)

- ხელჩაკიდებით, ხელები დაშვებული და ოდნავ განზე გაწეული.
- ხელჩაკიდებით, ხელები  აწეული და ოდნავ განზე გატანილი.
- ხელჩაკიდებით, ხელები გულმკერდის სიმაღლეზე წინ გატანილი.
- ერთი ხელი იდაყვის სახსარში მოხრილი, წინა მხარი გულმკერდის სიმაღლეზე ჰორიზონტალურ მდგომარეობაში, ხელის მტევანი გვერდზე მდგომის გამართულ მტევანზე ჩავლებული.
- ხელები ერთმანეთის მხრებზე გადახვეული.
- ორივე ხელი ხანჯალზე.
- ორივე ხელი ერთმანეთის ქამრებში.
- ორივე ხელი ერთმანეთის წელზე ზურგს უკან.

## ფეხის ძირითადი მდგომარეობა და მოძრაობა ფერხულში

1. ფეხის განზე გადგმა და ზეტანის მისკენ გადახრა. მოძრაობა სრულდება ორივე მხარეს: მარჯვნივ და მარცხნივ (სარხევი).
2. გაქანება.
3. ფეხების ერთიმეორესთან მიდგმა (ფეხმიდგმით გვერდზე სვლა).
4. ჩვეულებრივი სვლა.
5. რთულა სვლა.
6. მუხლურა სვლა.
7. ხლართულა სვლა.
8. წინჩაკრული.
9. უკუჩაკრული.
10. ჭდობილფეხცვლით ჩაკრული.
11. სადა გასმა.
12. ცალფა გასმა.
13. ორფა გასმა.
14. მაღალი გასმა.
15. ჭდობილი გასმა.
16. ჩაკრული გასმა.
17. მაღალჩაკრული გასმა.
18. მუხლურა.
19. მუხლურა ბრუნვით.
20. ფეხგაშლილი ბუქნი.

ერთპირული ფერხულები. მაგალითები.

ორპირული ფერხულები. მაგალითები.

ორ და სამსართულიანი ფერხულები. მაგალითები.

კითხვა-მიგებითი ფერხულები. მაგალითები.

საფერხულო წყობა წრის შიგნითა ერთი-ორი პანტომიმური მოთამაშით. მაგალითები.

საფერხულო წყობა წრის შიგნითა მომღერალ-მოთამაშით. მაგალითები.

**ფერხულთა შესრულების კუთხური თავისებურებანი:**

| | |
|---|---|
| სვანური. | ქართლური. |
| მეგრული. | კახური. |
| იმერული. | გურული. |
| რაჭული. | აჭარული. |
| ლეჩხუმური | ფშაური. |
| მესხური. | ხევსურული. |
| ჯავახური. | მოხეური. |
| ქალაქური. | მთიულური. |
| თუშური. | |

ქართველ ქორეოგრაფთა მიერ სასცენოდ დამუშავებული და დადგმული ფერხულები. მაგალითები.

## მეფერხულეთა განლაგება საფერხულო წყობაში

1. მეფერხულეთა წრიულად განლაგება

ფერხულის აგება საფერხულო წყობის ძირითად ელემენტებზე. წრე მოძრაობა მარჯვნივ ან მარცხნივ, შესაძლებელია შევიწროება ან გაშლა.

2. ორწრიანი ფერხული (ორფერხული)

მეფერხულეთა ორ წრედ განლაგება, სახით წრისკენ, ერთმანეთის პირისპირ ან ზურგშექცევით. ორპირულ ფერხულთა ერთმანეთის საპირისპიროდ მოძრაობა.

3. ერთრკალიანი და ორრკალიანი ფერხულები

მეფერხულეთა ერთ ან ორ რკალად მხარგვერდით დგომა. მოძრაობა მარჯვნივ ან მარცხნივ, წრის მიმართულებით, შეიძლება წრეში შესვლაც და თავდაპირველ მდგომარეობაში დაბრუნება.

1. სართულებიანი ფერხულები

2. მეფერხულეთა ერთი წყების მეორის მხრებზე შედგომა ფერხულთა სართულები მეფერხულეთა წყობის მიხედვით განისაზღვრება. სართულების შემადგენლობა თანაბარია. ფერხული მარცხნიდან მარჯვნივ – საათის ისრის საწინააღმდეგოდ მოძრაობს.

სართულიან ფერხულში მხრებზე ასვლის, დგომისა და ჩამოსვლის ტექნიკური ხერხების ათვისებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

7. რთული წყობის ფერხულები

რთული წყობის ფერხული სხვადასხვა საფერხულო წყობას აერთიანებს.

8. ფერჴისა, ფერჴისული.[1]

# სვანური ცეკვა

## თეორია და მეთოდიკა

გეოგრაფიული, ეკონომიკური, ისტორიული, სოციალური გარემო და მისი გავლენა სვანურ რიტუალებზე, წეს-ჩვეულებებსა და საცეკვაო კულტურის ჩამოყალიბება-განვითარებაზე.

სვანური ცეკვა თემატური შინაარსის მიხედვით.

სვანური ცეკვების ისტორიული წყაროები და ლიტერატურული მასალები. ნაშრომები და გამოკვლევები სვანური ცეკვის შესახებ.

სვანური ცეკვების ფორმა და შინაარსი, კომპოზიცია. შესრულების ტრადიციული წესები და თავისებურებანი.

სვანური ცეკვის პლასტიკურ-გამომსახველობითი საშუალებები, ტერმინოლოგია.

კოსტიუმი.

სვანური საფერხულო (საცეკვაო) მელოდიები სამუსიკო ფოლკლორსა და ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედებაში.

სვანური ცეკვა ავთენტიკურ და სასცენო ქორეოგრაფიაში. დამდგმელი ქორეოგრაფები.

სვანური ცეკვის ასახვა ქართულ ხელოვნებაში (სახვითი

[1] ჩვენი დაკვირვებით, ფერჴისა, ფეჴისა, ფერჴისული ფერხულის დიალექტური სახელწოდებებია: ფერჴისა – მთიულეთი, გუდამაყარი, ხევი, ფშავი, თუშეთი; ფერჴისული – ხევსურეთი, ხევი; ფეჴისა – ხევი.

ხელოვნება, ხუროთმოძღვრება, თეატრი, ოპერა, ბალეტი, მუსიკალური სპექტაკლი, კინო, მხატვრული ლიტერატურა).

სვანური ცეკვა ხალხურ სანახაობებსა და საწესჩვეულებო რიტუალებში.

## სვანური ცეკვა თემატური შინაარსის მიხედვით

მონადირული: *ლემჩილი, დალა კოჯას ხელღვაჟალე (,დალი კლდეში მშობიარობს), ამირანის ფერხული (სანადირო).*

რელიგიურ-რიტუალური: *ლილე, ლაჟღვაში, შუშპარი.*

საგმირო-საისტორიო: *თამარ დედფალ, ყანსავ ყიფიანე, როსტომ ჭაბუკი, ჩეყარამსა.*

ყოფითი: *მირმიქელა, შინა ვორგილ, რამაიდა, ცერული.*

## ძირითადი ელემენტები

### I. ხელის ძირითადი მდგომარეობა და მოძრაობა

1. ხელები ჩაკიდებული ქვევით, წინ, ზევით (ეს მდგომარეობანი საერთოა ვაჟებისა და ქალებისათვის, ასევე ქალ-ვაჟთათვის).
2. ერთი ხელი გულმკერდის წინ მოხრილი, მეორე – დაშვებული (ქალი).
3. ხელები ერთმანეთის ქამრებში ჩავლებული (ვაჟები).
4. ხელები ერთმანეთის ზურგს უკან ჩაკიდებული (ვაჟები).
5. ორივე ხელი ხანჯალზე (ვაჟები).
6. ერთი ხელი ხანჯალზე, მეორე – თავისუფლად (ვაჟები).
7. ხელები ერთმანეთის მხრებზე გადახვეული (ვაჟები).
8. ხელები ერთმანეთის მხრებზე გადახვეული (ქალები).
9. ხელკავი (ქალ-ვაჟნი).
10. ქალ-ვაჟის ხელკავი (წყვილად).
11. ხელის მტევნის მოძრაობა (*შუშპარისათვის*).
12. ხელის მოძრაობათა ცვლა (*შუშპარისათვის*).
13. ხელის კომბინირებული მდგომარეობა (*შუშპარისა* და სხვა ცეკვებისათვის).

ვაჟებთან ერთად ქალების მონაწილეობისას ხელები უმეტესად ჩაკიდებულია ქვევით. მიუღებელია ქალ-ვაჟის ხელის გადახვევა.

**II. თავის, მხრების, ტანის მდგომარეობა და მოძრაობა**

**III. ფეხის ძირითადი მდგომარეობა და მოძრაობა**

შეისწავლება ცალკეული ცეკვისათვის დამახასიათებელი ფეხის ტრადიციულ მოძრაობათა კომპლექსი.

**IV. სვლა**

სამნაბიჯიანი სვლა ერგცერებზე: წინ, უკან (ნაზურა).

ფეხჭდობილი.

ერგცერის დაკვრით.

ფეხუკუჩადგმითი გვერდზე სვლა.

ქუსლურა წინსვლა.

მუხლურა წინსვლა.

ცერდაკვრითი უკუსვლა.

ეს სვლები დამახასიათებელია *შინავორგილისათვის.*

**V. ბრუნვა**

ფეხმოქნევით.

ეს სვლები და ფეხმოქნევითი ბრუნვები დამახასიათებელია *შუშპარისათვის.*

## ცერული

### ძირითადი ელემენტები

**სვლა**

ცერზე სირბილი.

ცერებზე სირბილი.

ცერდაკვრითი უკუსვლა (I და II ვარიანტი).

მუხლურა წინსვლა.

ქუსლურა წინსვლა.

**ჩაკვრა**

ფეხდაქნევით (სხვადასხვა ვარიანტი) ჩაკვრა (ცერდაქნევით ჩაკვრა).

ფეხდაქნევით ჭდობჩაკვრა (ცერდაქნევით ჭდობჩაკვრა).

ფეხშლილი (სხვადასხვა ვარიანტი) ჩაკვრა.

ფეხშლითა და განბიჯით ჩაკვრა.

**ბრუნვა**

ჩაკვრითი ცერდგომბრუნვა.

ადგილზე ცერდგომბრუნვა.

# მეგრული ცეკვა

## თეორია და მეთოდიკა

გეოგრაფიული, ეკონომიკური, ისტორიული, სოციალური გარემო და მისი გავლენა მეგრულ რიტუალებზე, წეს-ჩვეულებებსა და საცეკვაო კულტურის ჩამოყალიბება-განვითარებაზე.

მეგრული ცეკვა თემატური შინაარსის მიხედვით.

მეგრული ცეკვის ისტორიული წყაროები და ლიტერატურული მასალები. ნაშრომები და გამოკვლევები მეგრული ცეკვის შესახებ.

მეგრული ცეკვის ფორმა და შინაარსი, კომპოზიცია. შესრულების ტრადიციული წესები და თავისებურებანი.

მეგრული ცეკვის პლასტიკურ-გამომსახველობითი საშუალებები, ტერმინოლოგია.

მეგრული საცეკვაო მელოდიები სამუსიკო ფოლკლორსა და ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედებაში.

კოსტიუმი.

მეგრული ცეკვა ავთენტიკურ და სასცენო ქორეოგრაფიაში. დამდგმელი ქორეოგრაფები.

მეგრული ცეკვის ასახვა ქართულ ხელოვნებაში (სახვითი ხელოვნება, ხუროთმოძღვრება, თეატრი, ოპერა, ბალეტი, მუსიკალური სპექტაკლი, კინო, მხატვრული ლიტერატურა).

მეგრული ცეკვა ხალხურ სანახაობებსა და საწესჩვეულებო რიტუალებში.

### მეგრული ცეკვა თემატური შინაარსის მიხედვით

ყოფითი-სალაღობო: *ოხოხოია, ჩაგუნა.*

სატრფიალო: *პარირა.*

ისტორიულ-ყოფითი: *ძაბრალე, ჯანსულო.*

შრომის: *ოსხაპუე.*

## ძირითადი ელემენტები

**I. ხელის ძირითადი მდგომარეობა და მოძრაობა**

1. ხელები ჩაკიდებული (ქვევით, წინ, ზევით). ეს მდგომარეობა საერთოა ვაჟებისა და ქალებისათვის, ასევე ქალ-ვაჟთათვის (*ოხოხოიასათვის* დამახასიათებელია ნეკა თითებით ხელის ჩაბმა).
2. ხელები ერთმანეთის მხრებზე გადახვეული (ვაჟები).
3. ხელები ერთმანეთის მხრებზე გადახვეული (ქალები).
4. კომბინირებული მდგომარეობა (ქალები).
5. კომბინირებული მდგომარეობა (ვაჟები).
6. წყვილის (ქალ-ვაჟი) კომბინირებული მდგომარეობა.
7. ხელის მტევნების მოძრაობა (ქალები).
8. ხელის მოძრაობათა ცვლა (ინდივიდუალურ, ჯგუფურ და მასობრივ ცეკვებში).

**II. თავის, მხრების, ტანის მდგომარეობა და მოძრაობა**

**III. ფეხის ძირითადი მდგომარეობა და მოძრაობა**

**IV. სვლა**

ჩვეულებრივი.

ირიბი (წრეზე შესვლით და გამოსვლით).

ფეხმიდგმით.

**V. ჩაკვრა**

საფერხულო.

სადა.

მაღალი.

შეისწავლება ცალკეული ცეკვისათვის დამახასიათებელი ფეხის ტრადიციული მოძრაობათა კომპლექსი.

*პარირაში* გამოიყენება *ქართულისათვის* დამახასიათებელი საცეკვაო ლექსიკა – ხელისა და ფეხის ძირითადი მდგომარეობა და მოძრაობა.

მეგრული ცეკვებისათვის დამახასიათებელი რეკვიზიტების – ქუდის, ბურთის, მანდილის, თავსაფრისა და სხვ. – გამოყენების უნარ-ჩვევის გამომუშავება.

სვანური და მეგრული ცეკვების შესწავლის საფუძველზე პედაგოგი ადგენს ილეთთა ნაერთებს, კომბინაციებს, ფრაგმენტებსა და სრულ კომპოზიციებს.

**ლიტერატურა:**


- ამირანაშვილი, შალვა. (1971). *ქართული ხელოვნების ისტორია.* თბ. *ხელოვნება.*
- არაყიშვილი, დიმიტრი. (1950) *სვანური ხალხური სიმღერები,* თბ. *ხელოვნება*
- ახობაძე, ვალერიან. (1957) *ქართული (სვანური) ხალხური სიმღერების კრებული,* თბ. *ტექნიკა და შრომა.*
- ბეზარაშვილი, ციალა. (1970). *სვანი ქალის სამოსი.* სვანეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბილისი: *მეცნიერება.*
- ბეზარაშვილი, ციალა. (1979). *სამეგრელოში ქალის ჩაცმულობა.* მასალები საქართველოს ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბილისი: *მეცნიერება.*
- ბარდაველიძე, ვერა. (1939). *სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი,* ნაწ. 1. *ახალ წლის ციკლი,* თბილისი: *სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა და სტამბა.*
- ბარდაველიძე, ვერა. (1953). *ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები,* თბილისი: *საქ. სსრ. მეცნ. აკად. გამ-ბა და სტამბა.*
- გაბლიანი, ეგნატე. (1925). *ძველი და ახალი სვანეთი,* ტფილისი: *სახელმწიფო გამომცემლბა (ს.ს.მ.უ.ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა).*
- გამსახურდია, კონსტანტინე. (1990). *მთვარის მოტაცება.* თბილისი: *პალიტრა L.*
- გელიაშვილი, ეკატერინე (2014). *ორნამენტული სიმბოლიკა ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიაში* (დისერტაცია).
- გელოვანი, აკაკი. (1983). *მითოლოგიური ლექსიკონი,* თბილისი: *საბჭ. საქართველო, (ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი).*
- გვარამაძე, ლილი. (1957). *ქართული ხალხური ქორეოგრაფია.* (ძირითადი საკითხები), თბილისი: *ხელოვნება.*
- გვარამაძე, ლილი. (1997). *ქართული საცეკვაო ფოლკლორი,* მე-2 გამოცემა. თბილისი: *თბილისის მერიის კულტურის სამმართველოს რეტროგრაფიული ცენტრი.*
- ერისთავი, რაფიელ. (1986). *ფოლკლორულ-ეთნოგრფიული წერილები.* თბილისი: *მეცნიერება.*

- ვირსალაძე, ელენე. (1969). *ქართული სავაზაფხულო-საფერხულო პოეზია:* ქართული ფოლკლორი, (მასალები და გამოკვლევები) ტ. III, თბილისი: *საქ. სსრ მეცნ. აკადემიის გამ-ბა.*
- თათარაძე, ავთანდილ. (1976). *ძველი ქართული (სვანური) ფერხულები,* თბილისი: *განათლება.*
- თათარაძე, ავთანდილ (1999). *ქართული ხალხური ქორეოგრაფიის ისტორიის საკითხები,* თბილისი: *კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი.*
- კუფტინი, ბორის. (1949). *ქართული კულტურის უძველესი კერა თრიალეთში.* ლიტერატურული ძიებანი, ტ. I-XVIII, თბ., 1943-1989. თბილისი: *საქ. სსრ. პოლიგრ. გამომც. და საქმ. სამმართვ. მე-2 სტ.).*
- ლამბერტი, არქანჯელო. (1938). *სამეგრელოს აღწერა.* მეორე გამოცემა, თბილისი: *ფედერაცია-ს გამ-ბა და სტ.*
- მაკალათია, სერგი. (1926. 1926.). *ფალოსის კულტი საქართველოში.* ჟურნ. *მიმომხილველი,* I, ტფილისი: პოლიგრაფიული ტრესტის 1 სტ. და ცალკე *ამონაბეჭდი საქ. საისტ. და საეთოგრ. საზ. ორგანოდან მიმომხილველი, V. 17.*
- მაკალათია, სერგი, (2006). *სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია,* თბილისი: *საარი.*
- მამალაძე, თამარ. (1972). *სვანური საწესო სიმღერების სტრუქტურა:* მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის XVI – XVII, თბილისი: *ნაკადული.*
- ნიჟარაძე, ბესარიონ. (1962-64). *ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები,* ტ. I-II, თბილისი: *თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.*
- რუხაძე, ტრიფონ. (1949). ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია. თბილისი: *ხელოვნება. საქ. სსრ. პოლიგრ. და გამომც. მე-2 სტ.*
- რეხვიაშვილი, სპარტაკ. (1968). *სად მონადირე სდევს ჯიხვსა,* (რაჭის ეთნოგრაფიის საკითხისათვის). თბილისი: *საბჭოთა საქართველო.*
- სახოკია, თედო. (1956). *ეთნოგრაფიული ნაწერები,* თბილისი: *სამეცნ.-მეთოდ. კაბინეტის გამ-ბა, (ზარია ვოსტოკა-ს* სტ.).
- სახოკია, თედო. (1969). *ჩემი საუკუნის ადამიანები:* მოგონებათა ფურცლები. კრებული, I. თბილისი: *ნაკადული.*

- *სვანეთი,* (სტატიების კრებული). ტ. I-II, (1977-79). თბილისი: *მეცნიერება.*
- *სვანური პოეზია.* (1939). სიმღერები შეკრიბეს და ქართულად თარგმნეს აკაკი შანიძემ, ვარლამ თოფურიამ, მერი გუჯეჯიანმა. თბილისი: საქ. *მეცნიერებათა აკადემია.*
- ცანავა, აპოლონ. (1970). *ქართული ზეპირსიტყვიერების საკითხები* (მეგრული მასალების მიხედვით). თბილისი: *თბილ. უნ-ტი.*
- ცანავა, აპოლონ. (1990). *ქართული ფოლკლორის საკითხები* (მეგრული მასალების მიხედვით), თბილისი: *უნ-ტის გამ-ბა.*
- ჩიქოვანი, მიხეილ. (1947). *მიჯაჭვული ამირანი,* თბილისი: *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა და სტ.*
- ჩიქოვანი, მიხეილ. (1959-65). *ქართული ეპოსი.* I-II, თბილისი: *წიგ. 1. საქ. სსრ. მეცნ. აკად. გამ-ბა და სტ. წ. 2 მიჯაჭვული ამირანი.* თბილისი: *მეცნიერება.*
- ჩიქოვანი, მიხეილ. (1971). *ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები.* თბილისი: *თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.*
- ჩიქოვანი, მიხეილ. (1981). *ამირანის თქმულების პოეტური ჩანაწერები:* ეპიკური ჟანრები, ქართული ფოლკლორი, X, (მასალები და გამოკვლევები), თბილისი: *მეცნიერებათა აკადემია.*
- *ჩვენი ღირსებანი.* (2014). წიგნი მეექვსე, თბილისი: *წიგნიერი.*
- ჩარკვიანი, ალექსანდრე. (1967). სვანეთი, თბილისი: *მეცნიერება.*
- წერედიანი, დავით. (1977). *სვანური ხალხური ლექსები,* თბილისი: *საბჭოთა საქართველო.*
- ჭანიშვილი, რეზო. (2002). წერილები ქორეოგრაფიაზე, წიგნი პირველი. თბილისი: *თანი.*
- ჯაგოდნიშვილი, თემურ. (1986). *რაფიელ ერისთავი. ფოლკლორულ ეთნოგრაფიული წერილები,* 1-ლი გამოც. თბილისი: *ნაკადული (სტ. №4).,*
- ჯავახიშვილი, ივანე. (1979). *თხზულებანი:* 12 ტომად, ტ. I, თბილისი: *თბილ. უნ-ტის გამ-ბა.*
- ჯავახიშვილი, ივანე. (1990). *ქართული მუსიკის ისტორიის*

*ძირითადი საკითხები,* თბილისი: *ხელოვნება.*
- კაპანაძე, ოთარ. (2014). ქართული საფერხულო სიმღერები: მუსიკალური ენის თავისებურებები. დისერტაცია. ხელნაწერის უფლებით.
- ჯანელიძე, დიმიტრი. (1948.). *ქართული თეატრის ხალხური საწყისები*, წ. 1. (მასალები ქართული თეატრის ისტორიისათვის). თბილისი: *სახელგამი. ლენინსკოე ზნამიას სტამბა.*
- ჯანელიძე, დიმიტრი. (1958). *სახიობა: თეატრალური ნარკვევები და წერილები.* თბილისი: *ხელოვნება.*
- ჯანელიძე, დიმიტრი. (1965). *ქართული თეატრის ისტორია,* (უძველესი დროიდან XVIII საუკუნემდე). თბილისი: *ლიტერატურა და ხელოვნება.*
- ჯანელიძე, დიმიტრი (1967). *რუსთაველი და სახიობა,* თბილისი: *ლიტერატურა და ხელოვნება.*
- ჯანელიძე, დიმიტრი. (1972). *სახიობა (ნარკვევები). წ. 2. თბილისი: ხელოვნება.*
- ჯანელიძე, დიმიტრი. (1980). *სახიობა*, თბილისი: *საქართველოს თეატრალური საზოგადოება.*
- ჯანელიძე, დიმიტრი. (1983). *ქართული თეატრის ისტორია.* წ. 1. ხალხური საწყისები. მეორე გამოცემა. თბილისი: *განათლება.*
- Бардавелидзе, Вера. (1957). *Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен.* Тбилиси: *Изд-во АН Груз. ССР.*
- Гварамадзе, Лили. (1987). *Грузинский танцевальный фольклор*. Тбилиси: *Хеловнеба.*
- Голейзовский, Касьян. (1964). *Образы русской народной хореографии*. Москва: *Искусство.*
- Джавришвили, Давид. (1975). *Грузинские народные танцы.2-е изд.* Тбилиси: *Ганатлеба. (типю № 5).*

# სწავლების მეორე წელი

## კურსის შინაარსი

პირველ კურსზე შესწავლილი მასალების საფუძველზე, მოძრაობის კოორდინაციის განვითარებისათვის, სტუდენტები ძელთან და დარბაზის შუაში ფართო რაკურსით უფრო რთულ ნაერთებს ამუშავებენ. განსაკუთრებული ყურადღება შედარებით დიდი მოცულობის (16-32 ტაქტი) კომბინაციებში მოძრაობათა შეერთებას და რთული კომბინაციური ნახაზის შედგენას ექცევა. სტუდენტები ეცნობიან ქართული ხალხური ცეკვების შესრულებისათვის დამახასიათებელ სტილს, მანერასა და ხასიათს. სწავლობენ ახალ ელემენტებსა და მოძრაობებს, ქართველ პედაგოგ-ქორეოგრაფთა გამოცდილებას, მათ წვლილს ქართული ცეკვის თეორიის შექმნის, განვითარებისა და სწავლების მეთოდიკის ფორმირებაში.

ძირითადი ამოცანა: სტუდენტთა მუსიკალური უნარისა და გემოვნების განვითარება; რიტმის, ტემპის, მეტრის, მუსიკალური დინამიკის ცნებების ათვისება; ცეკვაში მუსიკის ხასიათის გახსნის უნარ-ჩვევის გამომუშავება; მუსიკალური სახის შექმნა; პედაგოგის კონსულტაციით, კონცერმაისტერთან ერთად, ქართული ცეკვის გაკვეთილის მუსიკალური შინაარსის შერჩევა-დამუშავება.

სტუდენტები დამოუკიდებლად ემზადებიან თანაკურსელებთან ქართული ცეკვის გაკვეთილის ჩასატარებლად: ადგენენ გეგმას, განსაზღვრავენ ჩასატარებელი გაკვეთილის ელემენტებს და კონცერტმაისტერთან ერთად არჩევენ მუსიკალურ მასალას.

მეორე კურსზე შეისწავლება შემდეგი ცეკვები: იმერული *(მადლი მახარობელსა)*, რაჭული (*ქრისტეს სადიდებელი ფერხული, მაღლა მთას მოდგა, დიგორსა დასხდნენ ვეზირნი (დიგორი და ბასიანი), ოსიე, წერეთელმა დაიბარა, ერთხელ წისქვილს წასვლისათვის, ქვედრულა მოდიდებულა, თამარ ქალი, ორიდელა, ჩემო ყურშაო, ქალსა ვისმე, ჟუჟუნა, რაშოვდა, ოღრო-ჩოღრო, ნაცვლია, ბერქალური)*, ლეჩხუმური (*რანინა*), მესხურ-ჯავახური *(სამყრელო, მამლი მუხასა, ოქრომჭედელო, იდუმალა, შვიდი წყვილი ფერხული)* და ქალაქური *(კინტოური, ყარაჩოხული, მუხამბაზი, იალის თამაში).*

# III სემესტრი

## თეორია და მეთოდიკა

ცეკვის სახეები (ავთენტიკური – ხალხური, სასცენო–ხალხური, თანამედროვე, თეატრალური (კლასიკური), ისტორიულ-ყოფითი, სამეჯლისო), მათი ტიპობრივი თავისებურებანი, შექმნის ისტორია და განვითარება.

ქართული ხალხური ცეკვის ჟანრული სახესხვაობანი.

ქართული ცეკვა და მისი თავისებურებანი.

იმპროვიზაცია.

ვაჟთა და ქალთა ცეკვები (ხასიათები).

ქართველი კაცის სახისა და ხასიათის შექმნა და წარმოსახვა ცეკვაში.

ხელის მდგომარეობა და მოძრაობა – ხალხურ ცეკვაში ქართული ხასიათის თავისებურების გამოხატვის საშუალება.

ძველი სანახაობა-თამაშობანი და მათი როლი ქართული ხალხური ცეკვის შექმნა-განვითარებაში.

**ქართული ხალხური ცეკვის შემსრულებლობა**

ინდივიდუალური (სოლო) ცეკვა (ქალი, ვაჟი).

წყვილის (ქალ-ვაჟი) ცეკვა.

წყვილის (ორი ვაჟი) ცეკვა.

წყვილის (ორი ქალი) ცეკვა.

ჯგუფური (3-4-5 შემსრულებელი) ცეკვა.

მასობრივი (ქალთა, ვაჟთა და ქალ-ვაჟთა) ცეკვა.

ქართული ცეკვის შესრულების (ინდივიდუალური, წყვილთა, ჯგუფური, მასობრივი) კუთხური თავისებურებანი.

შეჯიბრებითი სახის (ინდივიდუალური, ჯგუფური, მასობრივი) ცეკვები.

ქართული ცეკვის ტრადიციული წყობა.

ქართული ცეკვის თანამედროვე წყობა.

ცეკვაში გაშაირების ელემენტი.

ქართველ ქორეოგრაფთა მიერ სასცენოდ დამუშავებული და დადგმული ქართული ხალხური ცეკვები.

## გაკვეთილი – ცეკვის სწავლების ორგანიზაციის ძირითადი ფორმა

გაკვეთილის ტიპები და სტრუქტურა. გაკვეთილის აგების მეთოდიკა და თავისებურებანი ვაჟთა, ქალთა და ქალ-ვაჟთა (შერეულ) ჯგუფებში. გაკვეთილის შემადგენელი ნაწილების თავისებურება და თანაფარდობა. სწავლების მეთოდები. სწავლების სისტემატურობისა და თანმიმდევრობის პრინციპი. გაკვეთილის ტემპი. გაკვეთილის მუსიკალური შინაარსი. საცეკვაო მოედნის დაგეგმვა.

# იმერული ცეკვა

## თეორია და მეთოდიკა

საისტორიო წყაროები და ლიტერატურული მასალები.

საექსპედიციო მასალები იმერული ცეკვის შესახებ.

იმერული ცეკვის ფორმა და შინაარსი, კომპოზიცია, საცეკვაო ლექსიკის თავისებურებანი.

კოსტიუმი.

იმერული საფერხულო და საცეკვაო მელოდიები.

იმერული ცეკვა ქორეოგრაფიულ ანსამბლებში. დამდგმელი ქორეოგრაფები.

## იმერული ცეკვის სახეები თემატური შინაარსის მიხედვით

რელიგიურ-რიტუალური: *მდლი მაზარობელსა.*

## ძირითადი ელემენტები

### I. ხელის ძირითადი მდგომარეობა და მოძრაობა. (ქალი)

ცალი ხელის წინა მხარი გულმკერდის წინ, მეორე – განზე გაშლილი (მკერდდახურული).

იდაყვში მოხრილი ცალი ხელი წინ გატანილი – წინა მხარი ზევით ამართული. იდაყვში მცირედ მოხრილი მეორე ხელი ქვევით დაშვებული.

**ვაჟი**
ორივე ხელი ქვევით დაშვებული. ხელის თითები მოხრილი და ნებით უკან მიმართული.
ცალი ხელი იდაყვის სახსარში მოხრილი და ოდნავ დაშვებული, გამართული ხელის თითები ნებით ეხება გულმკერდს. მეორე ხელი განზე გაშლილი (გლეხური).
იდაყვის სახსარში მოხრილი ცალი ხელი თითებით ეხება კეფას. მეორე – განზე გაშლილი (ცალიდაყვაშლილი).
იდაყვის სახსარში მოხრილი ცალი ხელი ცერით ეხება გულმკერდს, მეორე – განზე გაშლილი (საქართულო).

**ხელის მდგომარეობა ფერხულში**

გარექვემკლავი – ხელის მტევნებით შეერთებული.
გარეზემკლავი – ხელის მტევნებით შეერთებული.
მხრებზე ხელგადახვეული.
ხელები ერთმანეთის ქამრებში ჩავლებული.
ხელები ერთმანეთის ზურგს უკან წელზე.
ერთი ხელი მკერდდახურული, მეორე განგაშლილი და ისე ჩაბმული.

**II. თავის, მხრების, ტანის მდგომარეობა და მოძრაობა**

**თავი**
ზეაწეული.
**მხრები**
მხრების აწევ-დაწევა.
**ტანი**
წინ გადახრილი.
უკად გადაწეული.

**III. ფეხის ძირითადი მდგომარეობა და მოძრაობა**
**საფერხულო ელემენტები**

**სასვენო** – ერთ ფეხთან მეორის მიდგმა. სრულდება ორივე მხარეს.
**რხევა** – ტანის გადახრა მარჯვნივ ან მარცხნივ, ფეხი – III პოზიცია (სხეულის სიმძიმე შესაბამისად), ხელი – მხარგადახვეული.

**ჩაკვრა** – ჯვარედინად საყრდენ ფეხთან მიმართებაში – მარჯვნივ ან მარცხნივ.

**ფეხის უკან ჩადგმა.**

**IV. ძირითადი სვლა**

ყინჩად სვლა (ვაჟის ამაყად, აპლომბით სვლა).

ქუსლურა სვლა.

მუხლურა სვლა.

მუხლურა სვლა ორი ნაბიჯის დამატებით.

ტერფულა სვლა.

სრიალა სვლა.

რთულა სვლა.

სამდაკვრითი უკუსვლა.

სამდაკვრითი გვერდზე სვლა.

ჭდობილი გვერდზე სვლა.

ჭდობილი სამდაკვრითი გვერდზე სვლა.

**V. საცეკვაო ელემენტები.**

გასმა:

ჩაკრული გასმა.

მაღალჩაკრული გასმა.

სრიალა გასმა.

გვერდული გასმა.

ქუსლურა გასმა.

ჭდობილი გასმა.

ჭდობჩაკრული გასმა.

**VI ბუქნი**

მუხლებგაშლილი.

მუხლშეერთებული.

# რაჭული ცეკვა

## თეორია და მეთოდიკა

გეოგრაფიული, ეკონომიკური, ისტორიული და სოციალური გარემო და მისი გავლენა რაჭულ რიტუალებზე, წეს-ჩვეულებებსა და საცეკვაო კულტურის ჩამოყალიბება-განვითარებაზე.

რაჭული ცეკვის სახეები თემატური შინაარსის მიხედვით.

რაჭული ცეკვის საისტორიო წყაროები და ლიტერატურული

მასალები. ნაშრომები და გამოკვლევები რაჭული ცეკვების შესახებ.

რაჭული ცეკვის ფორმა და შინაარსი, კომპოზიცია. შესრულების ტრადიციული წესები და თავისებურებანი.

რაჭული ცეკვის პლასტიკურ-გამომსახველობითი საშუალებები, ტერმინოლოგია.

კოსტიუმი.

რაჭული საფერხულო და საცეკვაო მელოდიები მუსიკალურ ფოლკლორსა და ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედებაში.

რაჭული ცეკვა ავთენტიკურ და სასცენო-ხალხურ ქორეოგრაფიაში. დამდგმელი ქორეოგრაფები.

რაჭული ცეკვის ასახვა ქართულ ხელოვნებაში (სახვითი ხელოვნება, ხუროთმოძღვრება, თეატრი, ოპერა, ბალეტი, მუსიკალური სპექტაკლები, კინო, მხატვრული ლიტერატურა).

რაჭული ცეკვა ხალხურ სანახაობებსა და საწესჩვეულებო რიტუალებში.

## რაჭული ცეკვის სახეები თემატური შინაარსის მიხედვით

რელიგიურ-რიტუალური: *ქრისტეს სადიდებელი.*

საგმირო: *მაღლა მთას მოდგა, დიგორსა დასხდნენ ვეზირნი (დიგორი და ბასიანი), ოსიე, წერეთელმა დაგვიბარა.*

ყოფითი: *ერთხელ წისქვილს წასვლისათვის, ქვედრულა მოდიდებულა, თამარ ქალი, ორიდელა, ნაცვლია, ბერქალური.*

მონადირული: *ჩემო ყურშაო.*

სატრფიალო: *ქალსა ვისმე, ჟუჟუნა, რაშოვდა, ოღრო-ჩოღრო.*

## ძირითადი ელემენტები[1]

### I. ხელის ძირითადი მდგომარეობა და მოძრაობა

მღლიამხრული – ხელის მდგომარეობა ფერხულში (დავებათ მღლიამხრულად). არსებობს ხელის მღლიამხრულის ორი მდგომარეობა:

ხელკავი – ორივეს ხელი იდაყვის სახსარში მოხრილი, წინამხრები ჰორიზონტალურად, მტევნებით შეერთებული.

ბეჭდაბეჭ – ხელის მდგომარეობა ფერხულში, ხელები მხრებზე გადახვეული – მარჯვენა შიგნით, მარცხენა – გარეთ.

[1] რაჭული ცეკვის საცეკვაო ტერმინოლოგია მოგვაწოდა თორნიკე სხიერელმა.

ხელდახელ — ხელის მდგომარეობა ფერხულში, ხელები დაშვებული, ჩაკიდებული ხელის მტევნები გულებით ეხებიან ერთმანეთს.

**II. თავის, მხრების, ტანის მდგომარეობა და მოძრაობა.**

**III. ფეხის ძირითადი მდგომარეობა და მოძრაობა.**

**IV. ძირითადი სვლა.**

სატკეპნაო — ადგილზე ფეხის რიტმული ბაკუნი.

გაჭრა — გვერდზე, მარჯვნივ-მარცხნივ გასვლა.

გვერდზე გასმა — ადგილზე მარჯვენა-მარცხენა ფეხის გვერდზე ჩადგმა.

მიდგმა-მიბიჯგვნა — ქუსლდაკვრით უკუსვლა.

გაკეცილი — ნახევარწრეზე წინ და უკან სვლა.

ქუსლური — ჭდობილი გვერდზე სვლა.

ჯუნჯული — მოძრაობა ადგილზე და წინსვლით: ადგილზე — გასმისებური მოძრაობა შეხტომით, მარცხნივ და მარჯვნივ შებრუნებით.

წინ — ზიგზაგისებური სვალა შეხტომით.

ცოცმანი — (იცოცმანე) — ხელისა და ფეხის ტეხილი (ნაკვთურა) მოძრაობა ადგილზე ან გვერდზე.

კისრული — მხრების, კისრის, თავის მოძრაობა — ადგილზე და გვერდზე სვლით.

მიპარვა — ქუსლცერგადანაცვლებით გვერდზე სვლა.

წახრით გარბენი — წელში მოხრილი სირბილი.

ჩატეხვა — ცალფეხჩატეხვით გვერდზე სვლა.

**V. საცეკვაო ელემენტები.**

ცერული — ერთი ფეხის ცერის დაკვრა მეორის უკან — ჭდობილად.

მხარით (ბეჭით) ქალის შესვლა-შევარდნა საცეკვაოდ.

მიუცურდი — შემახილი — შესრიალებით (გასრიალებით) მიახლოვება მოცეკვავესთან.

შემოხტომა — გარბენით და ცალ ფეხზე შეხტომით შესვლა საცეკვაოდ.

ქუსლგაკვრით ფეხის ბაკუნი — მხრებთან ერთად (ქალის გამოწვევა).

უციმცე — ქუსლურში წინა ტერფის გამახვილებით მეორის უკან დადგმა (შემახილი).

ქასტამანი — ქალთან ჩამოვლა, სათამაშოდ გამოპატიჟება (ქასტამანის გაკეთება — საცეკვავოდ მიწვევა).

ცალფეხური — ერთფეხზე დგომა — მეორის კვანწვა.

რაჭულ ცეკვაში შეუკვრელ ფერხულს წინამძღოლას ეძახიან.

## ლეჩხუმური ცეკვა

### თეორია და მეთოდიკა

საისტორიო წყაროები და ლიტერატურული მასალები.

საექსპედიციო მასალები ლეჩხუმური ცეკვის შესახებ.

ლეჩხუმური ცეკვის ფორმა და შინაარსი, კომპოზიცია. საცეკვაო ლექსიკის თავისებურებანი.

კოსტიუმი.

ლეჩხუმური ცეკვა ქორეოგრაფიულ ანსამბლებში. დამდგმელი ქორეოგრაფები.

### ლეჩხუმური ცეკვა თემატური შინაარსის მიხედვით

სალაღობო: *რანინა.*

**ძირითადი ელემენტები**

**I. ხელის ძირითადი მდგომარეობა და მოძრაობა.**

**II. თავის, მხრების, ტანის მდგომარეობა და მოძრაობა.**

**III. ფეხის ძირითადი მდგომარეობა და მოძრაობა.**

**IV. ძირითადი სვლა.**

**V. საცეკვაო ელემენტები.**

შეისწავლება ცალკეული ცეკვისათვის დამახასიათებელი ფეხის ტრადიციული მოძრაობათა კომპლექსი.

სტუდენტთა მიერ საცეკვაო კომბინაციების შედგენა (8-დან 16 ტაქტამდე).

სტუდენტის მიერ თავის კურსზე გაკვეთილის ნაწილის დამოუკიდებლად ჩატარება.

იმერული, რაჭული და ლეჩხუმური ცეკვების საფუძველზე მასწავლებელი ადგენს ილეთთა ნაერთებს, კომბინაციებს, ფრაგმენტებსა და სრულ კომპოზიციებს.

სემესტრის ბოლოს ტარდება გამოცდა, რომელზეც სტუდენტებმა

პრაქტიკულად უნდა უჩვენონ სემესტრის განმავლობაში შესწავლილი მასალები და პედაგოგის მიერ დადგმული დასრულებული იმერული, რაჭული და ლეჩხუმური ცეკვები. პრაქტიკულ საკითხებთან ერთად სტუდენტები აბარებენ პროგრამულ მასალას თეორიაში.

**ლიტერატურა:**


- აბაკელია, ნინო. ალავერდაშვილი, ქეთევან. ღამბაშიძე, ნინო. (1991). *ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი,* თბილისი: (სტ. №4).
- ალავიძე, დავით. (1978). *ქართული და საქართველოში გავრცელებული ხალხური მუსიკალური საკრავები.* თბილისი: *ხელოვნება.*
- არაყიშვილი, დიმიტრი. (1950). *რაჭული ხალხური სიმღერები.* თბილისი: *ხელოვნება.*
- ასლანიშვილი, შალვა. (1954-1956). *ნარკვევები ქართული ხალხური სიმღერების შესახებ.* I და II ტომი. თბილისი: *ხელოვნება.*
- ასიეშვილი, ბაია. (2016). *როსტომ გოგოლაძე.* მონოგრაფია. თბილისი: ფონდი *ქართული გალობა.*
- *გვარამაძე,* ლილი. (1997). *ქართული საცეკვაო ფოლკლორი,* მე-2 გამოცემა. თბილისი
- თათარაძე, ავთანდილ. (1999). *ქართული ხალხური ქორეოგრაფიის ისტორიის საკითხები,* თბილისი: *თბილ. კულტურის სახელმწ. ინ-ტი.*
- თათარაძე, ავთანდილ. (2010). *ქართული ხალხური ცეკვა,* თბილისი: *კოლორ-პრინტი.*
- კახიანი, საულ. კახიანი, ზაალ. (1974). *პლასტიკური ანატომია.* თბილისი: *საბჭოთა საქართველო.*
- კიკვიძე, იაზონ. (1976). *მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში.* თბილისი: *მეცნიერება.*
- კოტეტიშვილი, ვახტანგ. (1965). *რჩეული ნაწერები.* ორ წიგნად, წ. 1. *ქართული ლიტერატურის ისტორია XIX ს.* წ. 2: *ლიტერატურული წერილები.* (1967). თბილისი: *საბჭოთა საქართველო.*
- მერკვილაძე, აფრასიონ. (1901). *აღდგომა სოფელში* (იმერეთში). ჟურნ, *მოგ ზაური,* № 6-7.

- ოქროშიძე, თამარ. (1961). *შრომის სიმღერები,* თბილისი: *საბჭოთა ხელოვნება.*
- ოქროშიძე, თამარ. (1963). *ქართული ხალხური შრომის პოეზია. თბილისი: საქ.სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა.*
- სიხარულიძე, ქსენია. ვირსალაძე ელენე, ოქროშიძე, თამარ. ქუთაისისა და ტყიბულის რაიონებში 1954 წლის სამეცნიერო-ფოლკლორული ექსპედიციის ანგარიში: *ლიტერატურული ძიებანი,* ტ. VIII, თბილისი: მეცნიერებათა აკადემია.
- სიხარულიძე, ქსენია. (1961, 64, 67). *ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება.* ტ. I-IV. ტ.1. თბილისი: საქ. სსრ მეცნ. აკად., გამ-ბა და სტ. ტ. 2. თბილისი: *მეცნიერება.* ტ. 3. თბილისი: *მეცნიერება.*
- სიხარულიძე, ქსენია. (1949). *ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება.* თბილისი: *სტალინის სახ. თბილისის სახელმწ. უნ-ტის გამ-ბა და სტ.*
- ქართული ფოლკლორი. XVI. (1986). ვარლამ მაცაბერიძე: *წერეთელმა დაიბარა.* თბილისი: *მეცნიერება.*
- შილაკაძე, ვანო. (1949). *ქართული ხალხური მუსიკის შესწავლისათვის.* თბილისი: *ხელოვნება, (საქ. სსრ პოლიგრ. და საქმ. სამმართვ. მე-2 სტ.).*
- ჭანიშვილი, რეზო. (2000). *ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნება მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდის სამსახურში.* თბილისი: *თბილისის კულტურის სახელმწ. უნ-ტი.*
- ჯავახიშვილი, ივანე. (1979). *თხზულებანი თორმეტ ტომად,* ტ. I, თბილისი: *თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.*

# IV სემესტრი

### თეორია და მეთოდიკა

ქართული წარმართობის ფორმები (ანიმიზმი, მაგია, ფეტიშიზმი, ტოტემიზმი) და საცეკვაო რიტუალები.

საცეკვაო ელემენტები ქართულ ხალხურ მისტერიებში, რელიგიურ რიტუალებსა და სახალხო დღესასწაულებში, სანახაობებსა და თამაშობებში.

რიტუალურ-საწესჩვეულებო ცეკვები.

საქორწილო რიტუალებსა და წეს-ჩვეულებებთან დაკავშირებული ცეკვები.

სამგლოვიარო და მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული საცეკვაო წეს-ჩვეულებანი.

ქართული ყოფითი, სადღესასწაულო და ეროვნული საცეკვაო კოსტიუმები.

ცხოველთა და ფრინველთა სახის განმასახიერებელი ქორეოგრაფიული გამომსახველობითი საშუალებანი.

ქართული ხალხური ცეკვები უცხოურ წყაროებში, საისტორიო დოკუმენტებსა და მხატვრულ ლიტერატურაში.

## მესხურ-ჯავახური ცეკვა

### თეორია და მეთოდიკა

გეოგრაფიული, ეკონომიკური, ისტორიული, სოციალური გარემო და მისი გავლენა მესხურ-ჯავახურ რიტუალებზე, წეს-ჩვეულებებსა და საცეკვაო კულტურის ჩამოყალიბება-განვითარებაზე.

მესხურ-ჯავახური ცეკვა თემატური შინაარსის მიხედვით.

მესხურ-ჯავახური ცეკვის ისტორიული წყაროები და ლიტერატურული მასალები. ნაშრომები და გამოკვლევები მესხურ-ჯავახური ცეკვის შესახებ.

მესხურ-ჯავახური ცეკვის ფორმა და შინაარსი, კომპოზიცია, შესრულების ტრადიციული წესები და თავისებურებანი.

მესხურ-ჯავახური ცეკვის პლასტიკურ-გამომსახველობითი საშუალებები. ტერმინოლოგია.

კოსტიუმი.

მესხურ-ჯავახური საცეკვაო და სასიმღერო მელოდიები სამუსიკო ფოლკლორსა და ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედებაში.

მესხურ-ჯავახური ცეკვა ავთენტიკურ და სასცენო-ხალხურ ქორეოგრაფიაში. დამდგმელი ქორეოგრაფები.

მესხურ-ჯავახური ცეკვის ასახვა ქართულ ხელოვნებაში (სახვითი ხელოვნება, ხუროთმოძღვრება, თეატრი, ოპერა, ბალეტი, მუსიკალური სპექტაკლი, კინო, მხატვრული ლიტერატურა).

მესხურ-ჯავახური ცეკვა ხალხურ სანახაობებსა და საწესჩვეულებო რიტუალებში.

## მესხურ-ჯავახური ცეკვა თემატური შინაარსის მიხედვით

საბრძოლო: *სამყრელო.*
რიტუალური: *მამლი მუხასა.*
შრომის: *ოქრომჭედელო.*
ყოფითი: *იდუმალა.*
საწესჩვეულებო: *შვიდი წყვილი ფერხული.*

## ძირითადი ელემენტები

**I. ხელის ძირითადი მდგომარეობა და მოძრაობა (ქალი, ვაჟი)**

**II. თავის, მხრების, ტანის მდგომარეობა და მოძრაობა**

**III. ფეხის ძირითადი მდგომარეობა და მოძრაობა**

**IV. ძირითადი სვლა**

**V. საცეკვაო ელემენტები**

*სამყრელოსა* და *იდუმალაში* ქალები არ მონაწილეობენ.

შეისწავლება ფერხულების, — *მამლი მუხასას, სამყრელოს, შვიდი წყვილი ფერხულის, ოქრომჭედელოს,* — ტრადიციულად მიღებული ფეხის მოძრაობათა კომპლექსი და *იდუმალას* საცეკვაო ელემენტები.

# ქალაქური ცეკვა

## თეორია და მეთოდიკა

თბილისის გეოგრაფიული, ეკონომიკური, ისტორიული, სოციალური გარემო და მისი გავლენა ქალაქურ რიტუალებზე, წეს-ჩვეულებებსა და საცეკვაო კულტურის ჩამოყალიბება-განვითარებაზე.

ქალაქური ფოლკლორი და მისი თავისებურებანი. ყარაჩოხელი და კინტო – როგორც სოციალური მოვლენა.

ქალაქური ცეკვა თემატური შინაარსის მიხედვით.

ქალაქური ცეკვის საისტორიო წყაროები და ლიტერატურული მასალები. ნაშრომები და გამოკვლევები ქალაქური ცეკვის შესახებ.

ქალაქური ცეკვის ფორმა და შინაარსი, კომპოზიცია, შესრულების ტრადიციული წესები და თავისებურებანი.

ქალაქური ცეკვის პლასტიკურ-გამომსახველობითი საშუალებები. ტერმინოლოგია.

კოსტიუმი.

ქალაქური საცეკვაო და სასიმღერო ფოლკლორი.

ქალაქური ცეკვა ავთენტიკურ და სასცენო-ხალხურ ქორეოგრაფიაში. დამდგმელი ქორეოგრაფები.

ქალაქური ცეკვის ასახვა ქართულ ხელოვნებაში (სახვითი ხელოვნება, თეატრი, ოპერა, ბალეტი, მუსიკალური სპექტაკლი, კინო, მხატვრული ლიტერატურა).

ქალაქური ცეკვა ხალხურ სანახაობებსა და საწესჩვეულებო რიტუალებში.

## ქალაქური ცეკვა თემატური შინაარსის მიხედვით

სალაღობო-ყოფითი: *კინტოური, ყარაჩოხული.*
სატრფიალო-ყოფითი: *მუხამბაზი.*
რიტუალურ-სანახაობითი: *ილის თამაში.*

## ძირითადი ელემენტები

**I. ხელის ძირითადი მდგომარეობა და მოძრაობა**

**II. თავის, მხრების, ტანის მდგომარეობა და მოძრაობა**

**III. ფეხის ძირითადი მდგომარეობა და მოძრაობა**

**IV. სვლა**

საბაღდადურო წინსვლა.

საბაღდადურო მუხლურა.

ქუსლურა წინსვლა.

სამდაკვრითი უკუსვლა.

**V. ჩაკვრა**

წინჩაკრული.

უკუჩაკრული.

ხლართულა ჩაკრული.

ფეხგაქნევით უკუჩაკრული.

ფეხგაქნევით ჭდობჩაკრული.

მაღალჩაკრული.

**VI. ბუქნი**

**VII. ხტომა**

**VIII. ბრუნვა**

ქართული ცეკვის რთულ მოძრაობათა შესწავლა ცალ-ცალკე და კომბინირებულად: 1. მუხლილეთი. 2. ხტომა.

სტუდენტთა მიერ რთული საცეკვაო კომბინაციების შედგენა (1-დან 16 ტაქტამდე).

სტუდენტის მიერ თავის კურსზე გაკვეთილის ნაწილის დამოუკიდებლად ჩატარება.

მესხურ-ჯავახური და ქალაქური ცეკვების საფუძველზე პედაგოგი ადგენს ილეთთა ნაერთებს, კომბინაციებს, ფრაგმენტებსა და სრულ კომპოზიციებს.

თეორიული და პრაქტიკული მასალების ათვისების შემდეგ სტუდენტები აკეთებენ წარდგინებას თეორიულ და მეთოდურ საკითხებზე.

**ლიტერატურა:**


- ბარნოვი, ალექსი. (1974). *ძველი თბილისის მუსიკოსები.* თბილისი: *ხელოვნება.*
- ბერიძე, თეიმურაზ. (1980). *ძველი თბილისის სურათები.* თბილისი: *ნაკადული.*
- გრიშაშვილი, იოსებ. (1927). *ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა,* ტფილისი: *სახელგამი.*
- იველაშვილი, თინა. (1987). *საქორწინო წეს-ჩვეულებანი სამცხე-ჯავახეთში.* (XIX ს. ნახ. XX ს.). თბილისი: *მეცნიერება.*
- იველაშვილი, თინა. (1999). *საქორწინო წეს-ჩვეულებანი საქართველოში,* თბილისი: *აიწყო და დაკაბადონდა ა.ო. პროგრესი.*
- ითონიშვილი, ვალერიან. (1959). *ქორწინების ზოგიერთი წეს-ჩვეულება ძველ თბილისში,* თბილისი: *საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა და სტ.*
- მაკალათია, სერგი. (1930). *მთის რაჭა,* ტფილისი: *სახელგამი, (პოლიგრაფტრ. მე-6 სტ.).*
- მაკალათია, სერგი. (1938). *მესხეთ-ჯავახეთი,* (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი). თბილისი: *ფედერაციის გამომც-ბა და სტ.,*
- *მასალები მესხეთ-ჯავახეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის.* (1972). (სტატიების კრებული). თბილისი: *მეცნიერება.*
- *მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის.* (1938-1987). ტ. I-XXIII, თბ.,
- სვანიძე, გიორგი. (1957). *ქართული ხალხური სიმღერები და მათთან დაკავშირებული თქმულებანი,* ელ. ვირსალაძის რედაქციით, თბილისი: *სახელგამი.*
- სონღულაშვილი, ჯუანშერ. (1964). *მასალები ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის ისტორიისათვის,* თბილისი: *მეცნიერება.*
- უმიკაშვილი, პეტრე. (1937). *ხალხური სიტყვიერება, ნაწ. I,* ტფილისი: *ფედერაციის გამომც. და სტ.*
- კოჭლავაშვილი, მაყვალა. (1986). *მუხის კულტის კვალი ერთ ხალხურ ლექსში. ქართული ფოლკლორი.* ტ. 16. მასალები და გამოკვლევები. თბილისი: *მეცნიერება. საქ. სსრ მ/ა სტ.).*

- *ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება.* (1960). ნაწ. I, თბილისი: საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა და სტ.,
- ქართული ხალხური პოეზია. (1974). შემდგენელი ელ. ვირსალაძე, ტ. 2. თბილისი: *მეცნიერება.*
- ქართული ხალხური პოეზია. (1976). ტ. V, *საწესჩვეულებო ლექსები.* მიხ. ჩიქოვანის რედაქციით, შენიშვნებითა და შესავალი წერილით, თბილისი: *მეცნიერება.*
- შანიძე, აკაკი. (1931). *ხალხური პოეზია,* I. *ხევსურული.* ტფილისი: *სახელგამი. (ჰ/ტრ. 1-ლი სტ.).*
- შაყულაშვილი, გიორგი (1987). *ძველი თბილისის პოეზიის ისტორიიდან.* თბილისი: *მეცნიერება.*
- შილაკაძე, მანანა. (1970). *ქართული ხალხური საკრავები და საკრავიერი მუსიკა,* თბილისი: *მეცნიერება.*
- შილაკაძე, ვალერიან. (1979). *ხალხური შემოქმედების (ცეკვის) მოამაგე: გიორგი სალუქვაძე.* ბათუმი: *საბჭ. აჭარა,*
- ჩოხელი, სოფიო. (1990). *ქართული საქორწილო წეს-ჩვეულებები და პოეტური ფოლკლორი.* თბილისი: *თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.*
- ჭელიძე, გიზო. (1987). *ქართული ხალხური დრამა,* თბილისი: *განათლება.*
- ხოსიტაშვილი, სერგო. (1983). *ქორწინებისა და მიცვალებულის დაკრძალვის წესი სამცხე-ჯავახეთში,* ეთნოგრაფიული ნარკვევი. თბილისი: *საბჭ. საქართველო.*
- ჯავრიშვილი, დავით. (1951). *ქართული ხალხური ცეკვები,* ნაკვ. 1. თბილისი: *სახელგამი, (ბ.ს. კომბ-ტი).*
- ჯავრიშვილი, დავით. (2017). *ქართული ხალხური ცეკვა. თბილისი:*
- პანფილოვი, ოლეგ. (2016). *კინტო – აკრძალული თემა.* www.24saati.ge/weekend/story/24770-kimto-akrdzaluli-tema
- Татарадзе, Автандил. (1981). *Пять грузинских народных* танцев. Тбилиси: *Хеловнеба.*

# სწავლების მესამე წელი

## კურსის შინაარსი

ძელთან ვარჯიშის ხანგრძლივობა მცირდება. კომბინაციები თანდათანობით რთულდება და შედარებით სწრაფ ტემპში სრულდება. მოძრაობა და ხტომა შეისწავლება კომბინირებულად ძელთან და დარბაზის შუაში, ასევე საცეკვაო კომპოზიციებში. გრძელდება მუშაობა შემოქმედებითი ინდივიდუალობისა და გამომსახველობითი საშუალებების განვითარებისათვის. ყურადღება ეთმობა ძალისა და გამძლეობის გამომუშავებას, კოორდინაციის განვითარებას, შესწავლილი მასალის საფუძველზე უფრო რთული საცეკვაო ეტიუდების დადგმას.

პედაგოგის ხელმძღვანელობით სტუდენტები დამოუკიდებლად ადგენენ ჩასატარებელი გაკვეთილის გეგმას, აფიქსირებენ მას და დაბალ კურსზე ატარებენ გაკვეთილს, განმარტავენ ცალკეული მოძრაობის შესრულების წესს და მიუთითებენ ამა თუ იმ საცეკვაო მოძრაობის შესრულებისას მოსალოდნელ ტიპურ შეცდომებზე.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დამდგმელი ქორეოგრაფის მუშაობას. ცალკე ლექცია ეთმობა ქართული ხალხური ცეკვის სწავლების მეთოდური ლიტერატურის ანალიზს. გრძელდება მეცადინეობა პედაგოგიური, სადადგმო და სარეპეტიციო ჩვევების გამომუშავება-განმტკიცებისათვის.

სასწავლო წლის განმავლობაში შეისწავლება შემდეგი ცეკვები: თუშური (*საცეკვაო, ქორბეღელა, ფერჯისა*), ქართლური *(ჰაიდა, ქალებო; ზემყრელო; ფერჯისა)*, კახური *(ფერხული, ცანგალა და გოგონა, შავლეგო)*, გურული (ფერხული, ფარცა, კალმახობა), აჭარული *(განდაგანა; ხორუმი; გადახვეული ხორუმი; ოჰოდ, ნანო; ლაზური).*

# V სემესტრი

## თეორია და მეთოდიკა

ქორეოგრაფიული სახე ფოლკლორულ ცეკვაში.

ქორეოგრაფიული სახე ხალხურ სასცენო ცეკვაში.

საცეკვაო ტექსტი და ქორეოგრაფიული სახე.

კუთხური საცეკვაო მოძრაობათა ტრადიციული თავისებურებანი, ურთიერთგავლენა, ურთიერთგამდიდრება-განვითარება და ზოგად-ქართული პლასტიკური გამომსახველობა.

ზოგადფოლკლორული მოვლენები და ქართული საცეკვაო ფოლკლორის თავისებურებანი.

ქართული ფოლკლორული ცეკვა და ცეკვის ზოგადქართული კულტურა.

ქართული და კავკასიური საცეკვაო მოძრაობათა ტრადიციული თავისებურებანი, მათი ურთიერთგავლენა და ურთიერთგამდიდრება.

ცეკვის რეკონსტრუქცია საცეკვაო ელემენტების მიხედვით.

ქართული ხალხური და კლასიკური ცეკვა.

ქორეოგრაფიული ტექსტი, როგორც ხასიათის გამოსახვის საშუალება.

ქორეოგრაფიული სახის შექმნა საცეკვაო კომპოზიციაში ხალხურ-სასცენო ქორეოგრაფიის ნიმუშების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე.

სტუდენტთა მიერ თავიანთ კურსზე ჩასატარებელი გაკვეთილის გეგმის შედგენა.

სტუდენტთა მიერ რთული კომბინაციების შედგენა ძელთან.

მოძრაობისა და ხტომის კომბინირებულად შესწავლა ძელთან და დარბაზის შუაში, ასევე საცეკვაო კომპოზიციებში.

რთული საცეკვაო ეტიუდების შეთხზვა ძალისა და გამძლეობის გამომუშავებისა და კოორდინაციის განსავითარებლად.

სტუდენტთა მიერ თავიანთ კურსზე გაკვეთილის ნაწილის დამოუკიდებლად ჩატარება და შედეგების განხილვა.

ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის სახელობის ქართული ნაციონალური ბალეტის სახელმწიფო აკადემიური დასი.

საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი *ერისიონი*.

საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული აკადემიური ანსამბლი *რუსთავი.*

აჭარის მელიტონ კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი.

ქალაქ ბათუმის მერიის ენვერ ხაბაძის სახელობის სახელმწიფო ქორეოგრაფიული ანსამბლი *ბათუმი.*

აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი *აფხაზეთი.*

ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი.

# თუშური ცეკვა

## თეორია და მეთოდიკა

გეოგრაფიული, ეკონომიკური, ისტორიული, სოციალური გარემო და მისი გავლენა თუშურ რიტუალებზე, წეს-ჩვეულებებსა და საცეკვაო კულტურის ჩამოყალიბება-განვითარებაზე.

თუშური ცეკვა თემატური შინაარსის მიხედვით.

თუშური ფერხისა, მისი ისტორია და განვითარება.

თუშური ცეკვის საისტორიო წყაროები და ლიტერატურული მასალები. ნაშრომები და გამოკვლევები თუშური ცეკვების შესახებ.

თუშური ცეკვის ფორმა, შინაარსი და კომპოზიცია. შესრულების ტრადიციული წესები და თავისებურებანი.

თუშური ცეკვის პლასტიკურ-გამომსახველობითი საშუალებები, ტერმინოლოგია.

კოსტიუმი.

თუშური სასიმღერო-საფერხულო და საცეკვაო მელოდიები სამუსიკო ფოლკლორში.

თუშური ცეკვა ავთენტიკურ და სასცენო-ხალხურ ქორეოგრაფიაში. დამდგმელი ქორეოგრაფები.

თუშური ცეკვის ასახვა ქართულ ხელოვნებაში (სახვითი ხელოვნება, ხუროთმოძღვრება, თეატრი, ოპერა, ბალეტი, მუსიკალური სპექტაკლი, კინო, მხატვრული ლიტერატურა).

თუშური ცეკვა ხალხურ სანახაობებსა და საწესჩვეულებო რიტუალებში.

## თუშური ცეკვა თემატური შინაარსის მიხედვით

ყოფითი: *საცეკვაო.*
რიტუალურ-საწესჩვეულებო: *ქორბეღელა, ფერხისა.*

## ძირითადი ელემენტები

**I. ხელის ძირითადი მდგომარეობა და მოძრაობა**
ხელის მდგომარეობა.
ხელის მდგომარეობა და მისი ცვლა.
ხელის მოძრაობა.
ხელის მტევნის მდგომარეობა და მოძრაობა (ქალი).
ხელის მდგომარეობა და მოძრაობა სხვადასხვა სვლისას.
ხელის კომბინირებული მოძრაობა.
**II. თავის, მხრების, ტანის მდგომარეობა და მოძრაობა**
**III. ფეხის ძირითადი მდგომარეობა და მოძრაობა**
**IV. ძირითადი სვლა და მოძრაობა**
სადა მუხლურა.
ქრიალა.
რთულა წინსვლა.
ტერფდაკვრით.
ნიავადი.
ჭდობილი.
ჭდობგვერდითი.
ქუსლჩაკვრითი უკუსვლა.
**V. ჩაკვრა**
**VI. ბუქნი**
**VII. ხტომა**
**VIII. ბრუნვა**

# ქორბეღელა

**(ვაჟთა ცეკვა)**

### ძირითადი ელემენტები

**I. ხელის ძირითადი მდგომარეობა და მოძრაობა**

ფერხული ორსართულიანია, ხელები ერთმანეთის მხრებზე გადახვეული, წრე შეკრული წრისშიგნითა მოთამაშით.

**II. თავის, მხრების, ტანის მდგომარეობა და მოძრაობა**

**III. ფეხის ძირითადი მდგომარეობა და მოძრაობა**

**IV. ძირითადი სვლა**

**V. საცეკვაო ელემენტები**

ფერხული ბრუნავს მარჯვნივ ჩვეულებრივი სვლით, წრე ნელი ნაბიჯით, სათანადო რიტმის დაცვით, მოძრაობს დანიშნულების ადგილამდე.

# ფერხისა

### ძირითადი ელემენტები

სრულდება ქალ-ვაჟთა, ასევე ცალ-ცალკე – ქალთა და ვაჟთა მიერ.

# ქართლური ცეკვა

### თეორია და მეთოდიკა

გეოგრაფიული, ეკონომიკური, ისტორიული, სოციალური გარემო და მისი გავლენა ქართლურ რიტუალებზე, წეს-ჩვეულებებსა და საცეკვაო კულტურის ჩამოყალიბება-განვითარებაზე.

ქართლური ცეკვა თემატური შინაარსის მიხედვით.

ქართლური ფერხისა, ისტორია და განვითარება.

ქართლური ცეკვის ისტორიული და ლიტერატურული წყაროები. ნაშრომები და გამოკვლევები ქართლური ცეკვის შესახებ.

ქართლური ცეკვის ფორმა და შინაარსი, კომპოზიცია. ტრადიციული წესები და თავისებურებანი.

ქართლური ცეკვის პლასტიკურ-გამომსახველობითი საშუალებები. ტერმინოლოგია.

კოსტიუმი.

ქართლური სასიმღერო-საფერხულო და საცეკვაო მელოდიები სამუსიკო ფოლკლორში.

ქართლური ცეკვა ავთენტიკურ და სასცენო-ხალხურ ქორეოგრაფიაში. დამდგმელი ქორეოგრაფი.

ქართლური ცეკვის ასახვა ქართულ ხელოვნებაში (სახვითი ხელოვნება, ხუროთმოძღვრება, თეატრი, ოპერა, ბალეტი, მუსიკალური სპექტაკლი, კინო, მხატვრული ლიტერატურა).

ქართლური ცეკვა ხალხურ სანახაობებსა და საწესჩვეულებო რიტუალებში.

**ქართლური ცეკვა თემატური შინაარსის მიხედვით**

| | |
|---|---|
| ყოფითი: | *ჰაიდა, ქალებო.* |
| საბრძოლო: | *ზემყრელო.* |
| რიტუალურ-საწესჩვეულებო: | *ფერ ჯისა.* |

## ჰაიდა, ქალებო

**(ქალთა ცეკვა)**

**ძირითადი ელემენტები**

**I. ხელის ძირითადი მდგომარეობა და მოძრაობა**

ხელის მდგომარეობა.

ხელის მოძრაობა.

ხელის კომბინირებული მოძრაობა.

მოცეკვავეთა განლაგება და მდგომარეობა.

**II. თავის, მხრების, ტანის მდგომარეობა და მოძრაობა**

**III. ფეხის ძირითადი მდგომარეობა და მოძრაობა**

**IV. ძირითადი სვლა**

**V. ჩაკვრა**

## ზემყრელო

**(ვაჟთა ცეკვა)**

**ძირითადი ელემენტები**

**I. ხელის ძირითადი მდგომარეობა და მოძრაობა**

ფერხული ორსართულიანია.[1] ხელები ერთმანეთის მხრებზე გადახვეული, წრე შეკრული.

[1] ზემყრელო არის როგორც ორსართულიანი, ისე სამსართულიანი.

**II. თავის, მხრების, ტანის მდგომარეობა და მოძრაობა**
**III. ფეხის ძირითადი მდგომარეობა და მოძრაობა**
**IV. ძირითადი სვლა**

ორსართულიანი წრე ნელა ბრუნავს *ზემყრელოსათვის* დამახასიათებელი საფერხულო მოძრაობით. მოძრაობის რიტმი თანდათან ჩქარდება.

## ფერჯისა

**(ვაჟთა და ქალთა ცეკვა)**

### ძირითადი ელემენტები

## კახური ცეკვა

### თეორია და მეთოდიკა

გეოგრაფიული, ეკონომიკური, ისტორიული, სოციალური გარემო და მისი გავლენა კახურ რიტუალებზე, წეს-ჩვეულებებსა და საცეკვაო კულტურის ჩამოყალიბება-განვითარებაზე.

კახური ცეკვის სახეები თემატური შინაარსის მიხედვით.

საისტორიო წყაროები და მასალები, ნაშრომები და გამოკვლევები კახური ცეკვის შესახებ.

კახური ცეკვის ფორმა და შინაარსი, კომპოზიცია. შესრულების ტრადიციული წესები და თავისებურებანი.

კახური ცეკვის პლასტიკურ-გამომსახველობითი საშუალებები. ტერმინოლოგია.

კოსტიუმი.

კახური სასიმღერო-საფერხულო და საცეკვაო მელოდიები სამუსიკო ფოლკლორში.

კახური ცეკვა ავთენტიკურ და სასცენო-ხალხურ ქორეოგრაფიაში. დამდგმელი ქორეოგრაფები.

კახური ცეკვის ასახვა ქართულ ხელოვნებაში (სახვითი ხელოვნება, თეატრი, ოპერა, ბალეტი, მუსიკალური სპექტაკლი, კინო, მხატვრული ლიტერატურა).

კახური ცეკვა ხალხურ სანახაობებსა და საწესჩვეულებო რიტუალებში.

**კახური ცეკვა თემატური შინაარსის მიხედვით**

ყოფითი: *ფერხული.*
სატრფიალო-ყოფითი: *ცანვალა და გოგონა.*
საგმირო: *შავლეგო.*

# ფერხული

## ძირითადი ელემენტები

**I. ხელის ძირითადი მდგომარეობა და მოძრაობა**

ხელის მდგომარეობა (ქალი, ვაჟი).

ხელები ქამარში.

ხელები ზურგს უკან (წელზე).

ხელები გადახვეული.

ქალების მონაწილეობისას ხელები მტევნითაა შეერთებული.

ხელის მოძრაობა (ქალი, ვაჟი).

ხელის კომბინირებული მოძრაობა. საწყისი მდგომარეობიდან ხელების გამართული მოძრაობა წინ და ზევით, ასევე ზემოდან წინ და უკან საფერხულო ფეხის (კომპლექსის) შესაბამისად. მიღებულია ხელების მოხრა იდაყვის სახსარში. ზოგჯერ ხელების ერთნაირი ან კომბინირებული უცვლელი მდგომარეობა.

**II. თავის, მხრების, ტანის მდგომარეობა და მოძრაობა**

**III. ფეხის ძირითადი მდგომარეობა და მოძრაობა**

**IV. ძირითადი სვლა**

**განლაგება:** წრიულად მხარგვერდითი განლაგება.

**V. ძირითადი სვლა და მოძრაობა**

ჩვეულებრივი სვლა (მარჯვნივ, მარცხნივ, წინ, უკან).

ფეხის მიდგმა.

ფეხის ჩადგმა (ჭდობილად წინ და ირიბად უკან).

საფერხულო ჩვეულებრივი ჩაკვრა.

საფერხულო ჩაკვრა შეხტომით.

# ცანგალა და გოგონა

**(ქალ-ვაჟთა ცეკვა)**

**ძირითადი ელემენტები**

**I. ხელის ძირითადი მდგომარეობა და მოძრაობა**
ხელის მდგომარეობა.
ხელის მტევნის მდგომარეობა და მოძრაობა (ქალი).
ხელის მდგომარეობის ცვლა.
ხელის კომბინირებული მდგომარეობა.
ხელის მდგომარეობა წყვილთა და მასობრივ ცეკვაში.
ხელის მოძრაობა.
ხელის მდგომარეობა და მოძრაობა სხვადასხვა სვლისას.
ხელის კომბინირებული მოძრაობა.
**II. თავის, მხრების, ტანის მდგომარეობა და მოძრაობა**
**III. ფეხის ძირითადი მდგომარეობა და მოძრაობა**
**IV. ძირითადი სვლა და მოძრაობა**
**V. სვლა**
ქუსლმიდგმითი (ქუსლურა).
მუხლური.
რთული.
**VI. გასმა**
კახური.
ფეხჩადგმითი.
ჭდობილი.
გამოიყენება გასმის სხვადასხვა სახეობა.
**VII. ჩაკვრა**
სადა.
ფეხდაქნევით (ტერფდაქნევით).
დახურული.
ფეხშლილი.
ჭდობილი.
ქუსლცერა.
გამოიყენება ჩაკვრის სხვადასხვა სახეობა.
**VIII. ხტომა**
**IX. ბრუნვა**

# შავლეგო

## (ვაჟთა ცეკვა)

### ძირითადი ელემენტები

**I. ხელის ძირითადი მდგომარეობა და მოძრაობა**

ხელის მდგომარეობა.

ხელის მდგომარეობა და მოძრაობა საფერხულო ფეხის (კომპლექსის) შესაბამისად.

**II. თავის, მხრების, ტანის მდგომარეობა და მოძრაობა**

**III. ფეხის ძირითადი მდგომარეობა და მოძრაობა**

**IV. ძირითადი სვლა**

საფერხულო ფეხის მოძრაობათა კომპლექსი და მასში შემავალი ელემენტები.

სასურველია, პედაგოგმა შეასწავლოს *შავლეგოს* რაჭული ვარიანტიც.

თუშური, ქართლური და კახური ცეკვების საფუძველზე მასწავლებელი ადგენს ილეთთა ნაერთებს, კომბინაციებს, ფრაგმენტებსა და სრულ კომპოზიციებს.

**ლიტერატურა:**


- ბარდაველიძე, ვერა. (1988). *ქართველი ხალხის სულიერი ყოფა და კულტურა,* (პროგრამა კითხვარი). თბილისი: *მეცნიერება.*
- გაგულაშვილი, ილია. (2002). *ქორეოგრაფიული ფოლკლორის ძირითადი მოტივების ისტორიული ძირები.* ქუთაისი: *მეცნ. აკადემია.*
- გელიაშვილი, ეკატერინე (2014). ორნამენტული სიმბოლიკა ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიაში (დისერტაცია).
- გვარამაძე, ლილი. (1957). *ქართული საცეკვაო ფოლკლორი.* თბილისი: *ხელოვნება.*
- გვარამაძე, ლილი. (1957). *ქართული ხალხური ქორეოგრაფია.* (ძირითადი საკითხები). თბილისი: ხელოვნება.
- თათარაძე, ავთანდილ. (1999). *ქართული ხალხური ქორეოგრაფიის ისტორიის საკითხები.* თბილისი: *კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი.*

- იაშვილი, მზია. (1975). *ქართული (სავუნდო) მრავალხმიანობის საკითხისათვის.* თბილისი: *განათლება.*
- მაკალათია, სერგი. (1927). *ახალწელიწადი საქართველოში,* ტფილისი: *სახელგამი, (პოლიგრაფსკოლის სტ.).*
- მაკალათია, სერგი. (1933). *თუშეთი,* (ნარკვევი). ტფილისი: *საქ. გეოგრაფ. საზოგადოების გა-მა, (პ/სკ. სტ.).*
- მაკალათია, სერგი. (1963). *ფრონის ხეობა,* (ხეობაში არსებული კულტურის ძეგლთა დახასიათება). თბილისი: *საბჭოთა საქართველო.*
- მაკალათია, სერგი. (1968). *ქსნის ხეობა, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი,* თბილისი: *საბჭოთა საქართველო.*
- მამალაძე, თამარ. (1963). *შრომის სიმღერები კახეთში.* თბილისი: *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.*
- მაჩაბელი, ნუნუ, (1978). *ქორწინების ინსტიტუტი ქართლში.* თბილისი: *მეცნიერება.*
- ნანობაშვილი, ბიძინა. (1988). *საოჯახო ყოფა აღმოსავლეთ საქართველოში* (ქორწინება ქიზიყის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით). თბილისი: *მეცნიერება.*
- სვანიძე, გიორგი. (1957). *ქართული ხალხური სიმღერები და მათთან დაკავშირებული თქმულებანი.* თბილისი: *სახელგამი.*
- ცოცანიძე, გიორგი. (1987). *გიორგობიდან გიორგობამდე.* თბილისი: *საბჭოთა საქართველო.*
- ჭანტურიშვილი, *სიმონ.* (1984). *ყოფა და კულტურა V-X საუკუნეების საქართველოში.* თბილისი: *თბილ. უნ-ის გამ-ბა.*
- *Актуальные проблемы современной фольклористики.*(1980). Ленинградское отделение, Издательство: *Музыка.*

# VI სემესტრი

## თეორია და მეთოდიკა

ქართული ხალხური სასიმღერო და საცეკვაო შემოქმედება.

ქართული ფოლკლორული მასალები და სასცენო ცეკვა.

მოძრაობის სასცენოდ გამოყენების მეთოდები და საშუალებები.

ფოლკლორული ცეკვის სასცენო დამუშავებისა და დადგმის შემოქმედებითი პირობები და შედგენის მეთოდები.

მეთოდური ლიტერატურის განხილვა.

სტუდენტთა მიერ დაბალ კურსზე ჩასატარებელი გაკვეთილის გეგმის შედგენა.

სტუდენტთა მიერ რთული საცეკვაო კომბინაციების შედგენა ხტომის სხვადასხვა სახეობით.

სტუდენტთა მიერ რთული საცეკვაო კომბინაციების შედგენა ბრუნვით მოძრაობაზე, მუხლილეთსა და ცერილეთზე.

სტუდენტთა მიერ დაბალ კურსზე გაკვეთილის ნაწილის დამოუკიდებლად ჩატარება და შედეგების განხილვა.

# გურული ცეკვა

## თეორია და მეთოდიკა

გეოგრაფიული, ეკონომიკური, ისტორიული, სოციალური გარემო და მისი გავლენა გურულ რიტუალებზე, წეს-ჩვეულებებსა და საცეკვაო კულტურის ჩამოყალიბება-განვითარებაზე.

გურული ცეკვა თემატური შინაარსის მიხედვით.

საისტორიო წყაროები და ლიტერატურული მასალები, ნაშრომები და გამოკვლევები გურული ცეკვის შესახებ.

გურული ცეკვის ფორმა, შინაარსი და კომპოზიცია. შესრულების ტრადიციული წესები და თავისებურებანი.

გურული ცეკვის პლასტიკურ-გამომსახველობითი საშუალებები. ტერმინოლოგია.

კოსტიუმი.

გურული საფერხულო და საცეკვაო მელოდიები სამუსიკო ფოლკლორსა და ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედებაში.

გურული ცეკვა ავთენტიკურ და სასცენო-ხალხურ ქორეოგრაფიაში. დამდგმელი ქორეოგრაფები.

გურული ცეკვის ასახვა ქართულ ხელოვნებაში (სახვითი ხელოვნება, ხუროთმოძღვრება, თეატრი, ოპერა, ბალეტი, მუსიკალური სპექტაკლი, კინო, მხატვრული ლიტერატურა).

გურული ცეკვის *(ფერხული, ფარცა, კალმახობა)* ძირითადი საკითხები.

გურული ცეკვა ხალხურ სანახაობებსა და საწესჩვეულებო რიტუალებში.

## გურული ცეკვა თემატური შინაარსის მიხედვით

სატრფიალო: *ფერხული, ფარცა.*

ყოფითი: *კალმახობა.*

## ფერხული და ფარცა

**(ვაჟთა, ქალთა, ქალ-ვაჟთა ცეკვა)**

### ძირითადი ელემენტები

**I. ხელის ძირითადი მდგომარეობა და მოძრაობა**

**(ქალი, ვაჟი)**

ხელის მდგომარეობა.

ხელჩაბმული.

ხელგაშლილი.

ხელაწეული.

ხელგადახვეული.

ხელები თავს უკან.

ერთი ხელი თავს უკან, მეორე – გაშლილი.

ერთი ხელი თავს უკან, მეორე – დოინჯით ან წელს უკან.

ხელის მოძრაობა.

ხელის მტევნის მდგომარეობა და მოძრაობა.

ხელის მდგომარეობა და მისი ცვლა.

ხელის კომბინირებული მდგომარეობა.

ხელის მდგომარეობა და განლაგება (ინდივიდუალურ, წყვილთა, მასობრივ ცეკვებში).

**II. თავის, მხრების, ტანის მდგომარეობა და მოძრაობა**

**III. ფეხის ძირითადი მდგომარეობა და მოძრაობა**

**IV. ძირითადი სვლა**

საფერხულო სვლა.

ფეხმიდგმითი სვლა.

რხევა (სარხევი) ფეხის განზე გადგმით და ტანის მისკენ გადახრით.

რთულა სვლა.

ქრიალა სვლა (ქალი).

მუხლურა სვლა ბრუნვით.

ხლართულა სვლა შეხტომით.

წინჩაკრული.

უკუჩაკრული.

ჭდობილფეხცვლა.

**V. გასმა**

სადა გასმა.

ჭდობილი გასმა.

ჩაკრული გასმა.

მაღალჩაკრული გასმა.

**VI. ბუქნა**

**VII. ბრუნვა**

## კალმახობა

**(ქალ-ვაჟთა ცეკვა)**

### ძირითადი ელემენტები

აგებულია გურულ საცეკვაო ლექსიკაზე, გამოყენებულია აჭარული ცეკვის – *ლაზურის* – კომპონენტები. მოძრაობა და პლასტიკა იმპროვიზებულია ცეკვის სახელწოდების შესაბამისად.

## აჭარული ცეკვა

### თეორია და მეთოდიკა

გეოგრაფიული, ეკონომიკური, ისტორიული, სოციალური გარემო და მისი გავლენა აჭარულ რიტუალებზე, წეს-ჩვეულებებსა და საცეკვაო კულტურის ჩამოყალიბება-განვითარებაზე.

აჭარული ცეკვა თემატური შინაარსის მიხედვით.

საისტორიო წყაროები და ლიტერატურული მასალები, ნაშრომები და გამოკვლევები აჭარული ცეკვის შესახებ.

აჭარული ცეკვის ფორმა, შინაარსი და კომპოზიცია. შესრულების ტრადიციული წესები და თავისებურებანი.

აჭარული ცეკვის პლასტიკურ-გამომსახველობითი საშუალებები. ტერმინოლოგია.

კოსტიუმი.

აჭარული სასიმღერო და საცეკვაო მელოდიები მუსიკალურ ფოლკლორსა და ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედებაში.

აჭარული ცეკვა ავთენტიკურ და სასცენო-ხალხურ ქორეოგრაფიაში. დამდგმელი ქორეოგრაფები.

აჭარული ცეკვის ასახვა ქართულ ხელოვნებაში (სახვითი ხელოვნება, ხუროთმოძღვრება, თეატრი, ოპერა, ბალეტი, მუსიკალური სპექტაკლი, კინო, მხატვრული ლიტერატურა).

აჭარული ცეკვის ძირითადი საკითხები *(განდაგანა; ხორუმი; გადახვეული ხორუმი; ოჰოი, ნანო; ლაზური).*

აჭარული ცეკვა ხალხურ სანახაობებსა და საწესჩვეულებო რიტუალებში.

### აჭარული ცეკვა თემატური შინაარსის მიხედვით

| | |
|---|---|
| სატრფიალო: | *განდაგანა.* |
| საბრძოლო: | *ორუმი, გადახვეული ხორუმი.* |
| ყოფითი: | *ოჰოდ, ნანო.* |
| შრომის: | *ლაზური.* |

# განდაგანა

**(ვაჟთა, ქალთა, ქალ-ვაჟთა ცეკვა)**

სრულდება ინდივიდუალურად, წყვილად, ჯგუფურად, მასობრივად.

### ძირითადი ელემენტები

**I. ხელის ძირითადი მდგომარეობა და მოძრაობა**

**(ქალი, ვაჟი).**

ხელის მდგომარეობა.

ხელის მდგომარეობა და მისი ცვლა.

ხელის კომბინირებული მდგომარეობა.

ხელის მდგომარეობა და მოძრაობა სხვადასხვა სვლისას.

ხელის მდგომარეობა და განლაგება (წყვილთა, მასობრივ ცეკვებში).

ხელის მოძრაობა.

ხელის მტევნის მდგომარეობა და მოძრაობა.

ხელის კომბინირებული მოძრაობა.

ხელის ჩაგრეხით მოძრაობა.

ხელის ჩაგრეხითა და სართავებით მოძრაობა.

ხელების წინმკლავჭდობიდან განმკლავამდე და სხვა მიმართულებით მოძრაობა.

**II. თავის, მხრების, ტანის მდგომარეობა და მოძრაობა**

მხარსართავი.

**III. ფეხის ძირითადი მდგომარეობა და მოძრაობა**

**IV. ძირითადი სვლა**

მიდგმითი.

მუხლურა.

მუხლდრეკილი ერგცერებზე.

მუხლურა წინზნექით.

მუხლურა წინზნექით და ჩოქუკუზნექით.

ჭდობუკუსვლა.

ქუსლცერით წინსვლა.

ჭდობილი გვერდზე სვლა.

საგანდაგანო ხლართულა.

მიდგმით სირბილი.

ცალფეხგასმა.

ფეხის წინჩადგმა მუხლმოქნევით.

მუხლმოქნევით და ქუსლგაკვრითი ჩაკრული.

ფეხგაქნევით ჩაკრული.

მუხლცვლა.

სამდაკვრითი ბრუნვა.

კომბინირებული მოძრაობები.

**V. ბუქნი**

**VI. ბრუნვა**

ფეხგასმურით.

ზეხტომით და ფეხის წინ, განზე და უკან მიდგმით.

ბრუნვა ზეხტომით და ფეხმიდგმით.

გასმურა წინჩადგმით და ბრუნით.

**VII. ხტომა**

# ხორუმი

**(ვაჟთა ცეკვა)**

## ძირითადი ელემენტები

**I. ხელის ძირითადი მდგომარეობა და მოძრაობა**

ხელის მდგომარეობა.
ხელის მდგომარეობა და მათი ცვლა.
ხელის კომბინირებული მდგომარეობა.
ხელის მდგომარეობა და მოძრაობა სხვადასხვა სვლისას.

**II. ძირითადი განლაგება**

მწკრივად.
ერთმანეთის უკან.
მწყობრად.
ნახევარწრიულად.
წრიულად.
ერთმანეთის მხრებზე შედგომით (სადაზვერვო მოძრაობისთვის).

**III. თავის, მხრების, ტანის მდგომარეობა და მოძრაობა**

**IV. ფეხისა და ხელის მოძრაობა**

შესასვლელი.
სასვენო.
ჭდობსასვენო.
ფარულა ანუ მალულა.
ჩოქმალულა.
საფრთხილო.
ჩოქვით მუხლმოქნევა.
დაბალი გასმა.
ხტომგასმა.
ფეხმოქნევით გასმა.
ბუქნა.
ბუქნით ბრუნვა.
წაწოლგასმურა.
ქობულეთური.
ქობულეთური ჩაკრული.
ქობულეთური მაღალჩაკრული.
წიხლური.
წაწოლა.
ჭდობხტომითი ხლართულა.
ბრუნვა.
გარბენი.
საზვერავი.
შვილდსასროლი (შვილდსაკრავი).
საჩურჩულო.
საკაფი (საკაფავი).
სახოხავი.
საიერიშო.

# გადახვეული ხორუმი

**(ვაჟთა ცეკვა)**

## ძირითადი ელემენტები

**I. ხელის ძირითადი მდგომარეობა და მოძრაობა**

ტრადიციულად გამოიყენება ხორუმის ხელის მდგომარეობა და მოძრაობა.

ხელის კომბინირებული მდგომარეობა და მოძრაობა უშუალოდ დამოკიდებულია ქორეოგრაფის მიერ შედგენილ ფეხის კომბინირებულ (კომპლექსურ) მოძრაობაზე.

**II. თავის, მხრების, ტანის ძირითადი მდგომარეობა და მოძრაობა**

დამოკიდებულია ფეხისა და ხელის კომბინირებულ მოძრაობაზე.

**III. ფეხის ძირითადი მდგომარეობა და მოძრაობა**

**IV. ძირითადი სვლა**

ჩვეულებრივი.

შეხტომით.

ნახევარჩამჯდარი ერგცერებზე სრიალით.

სირბილისებრი.

**V. მოძრაობა**

მტრის *მოჭრილი თავის* გორაობა.

მტრის *მოჭრილი თავის* ჩაქოლვა.

ბასმა – ჩაკვრითი მოძრაობა (ერთმაგი, ორმაგი).

კომბინირებული მოძრაობა.

**VI. ხტომა**

# ოჰოდ, ნანო

**(ვაჟთა ცეკვა)**

## ძირითადი ელემენტები

**I. ხელის ძირითადი მდგომარეობა და მოძრაოა**

ხელჩაკიდებით. ხელის მოძრაობა იმპროვიზებულია მოძრაობათა შესაბამისად. ცეკვაში გამოიყენება პლასტიკური იმპროვიზებული მოძრაობანი.

**II. თავის, მხრების, ტანის მდგომარეობა და მოძრაობა**

დამოკიდებულია საცეკვაო პლასტიკაზე.

**III. ფეხის ძირითადი მდგომარეობა და მოძრაობა**

**IV. ძირითადი სვლა**

ჩვეულებრივი.

ძუნძულით.

შეხტომით.

ჩაკვრისებრი მოძრაობა.

ჩამუხვლით.

ბუქნა.

**V. წამყვანის (კორიფეს) ძირითადი ელემენტები**

ჯოხის შემოკვრა.

მოძრაობის ჩვენება.

ბრძანება.

## ლაზური

**(ქალ-ვაჟთა ცეკვა)**

